№ 2871
სამშაბათი,
26 ივლისი

ცნობის ფურცელი

№ 2871
სამშაბათი,
26 ივლისი

გაზეთის ფასი: წელიწადში—6მ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5კ. ხელის-მოწერა და დაბეჭდვა განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ამ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Исамбо". ტელეფონი № 37.

მარიამ ნიკოლოზის ასული, ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე, სოფიო დავითის ასული ფურცელაძენი და ნინო კონსტანტინეს ასული ნატროშვილისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობთ გარდაცვალებას შემდეგ მძიმე და ხან მოკლე ავადმყოფობისა პირველი ძვირფასის და დაუვიწყარის ქმრისა, მეორე და მეოთხე მამისა და მესამე მამამთილის

კონსტანტინე ლუარსაბის-ძის ფურცელაძისას.

23-ს ამა ივლისს ნაშუადღევის 3½ საათზე ს. მერეთში. გამოსვენება იქნება ხუთშაბათს, 28-ს ამა ივლისს დილის 9 საათზე ს. მერეთში, გორის მაზრა. ცალკე მოწვევა არ იქნება. (2—99—1)

პოლაკ და ამხ.

ტფილისი ბაქო ბათუმი

ადრესი დეპეშისათვის: ФИЛПОЛАКЪ.
ადრესი ტფილისისათვის: სოლოლაკის ქუჩა, № 3. ტელეფ. № 27.
სატეხნიკო განყოფილება.
◆ **წარმომადგენელნი:** ◆
საელექტრონო ქარხნის „**ვოლტისა**" რეველში.
სააქციონერო ამხანაგობისა „**ნობელ**" მოტორები **დიზელისა.**
ნავთის მოტორების „**ვულკანის**" სისტემისა.
წყლის ტიურბინები **სინგრუნ ეპინალის** სისტემისა—საფრანგეთი.
ტერმოს სატეხნიკო სახლის გათბობის სისტემისა.—ბაქო და სხვა და სხვა.

ვკისრულობთ ქარხნებისა და ფაბრიკების სრულ მოწყობას. დაწვრილებით ცნობები და ხარჯთ-აღრიცხვა მსურველს მოთხოვნილებისთანავე გაეგზავნება. (3—1)

იშვიათი ვაჭრობა

„ძმ. აპოფჯანოვების და სარქისიანცის"

ამხანაგობა

ამით აცნობებს ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას, რომ რადგან ბ-ნი სარქისიანი ამხანაგობიდან გამოვიდა და რადგან საქმის მოწესრიგებაა საჭირო, ამა თვის 11-დან დაინიშნა.

ვაჭრობა

მაღაზიაში, რომელიც მიხეილის ხიდზეა, ს. ქამოევის სახლში. ამხანაგობის მაღაზიასა და საწყობში არის საქონელი.

100,000 მანეთისა.

თელი საქონელი, მომზადებული საკუთარ ქარხანაში ოდესას, დაჯდა ისე იაფად, რომ შესაძლებელი ხდება ამაზე **ნაკლები ფასები დაინიშნოს, რასაც იაფ გაჭრობის დროს ქალაქის ფირმები ნიშნავენ.**

საქონელი თავის თვისებით, სიკარგით და სიიაფით ყოველ კონკურენციის გარეშეა.
ამხანაგობა სთხოვს მუშტარს ნუ შეაწუხებს ნაყიდ საქონლის მეტის გადაკეთებით.

ფასები შეუვაჭრებლად.

ამხანაგობა სთხოვს პატივცემულ საზოგადოებას კეთილ ინებოს და თვითონ მობრძანდეს. (0—64)

ზაფხ. რესტორანი ბაღით

„კავკაზი"

(მეორე სახლი ფუნიკულერიდან)
მამა-დავითის გორაზე, გრილათ მოწყობილი კაბინეტებით.
მზადდება ევროპიული და აზიური სადილი.
ორი ბლუდი, 1 რუმკა არაყი ან ღვინო . . 50 კ.
სამი ბლუდი, არყით ან ღვინით . . . . 75 კ.
ოთხი ბლუდი ½ ბ. ღვინით ან რუმკა არყით 1 მ.
დრო სადილისა—12 საათიდან 5-მდე. მიიღება ყოველგვარი ზაკაზი.
ყოველ დღე საღამოს 4 საათიდან 11 საათამდის დაუკრავს მუსიკა მეორე კავკ. მსროლელთა ბრიგადისა. ორკესტრის მმართველი კარელ ლემი.
რესტორანის პატრონი **ტ. ი. ფარჯანაძე.** (15—244—1).

ქუთაისის გამგეობა

წმ. ნინოს **საქველმოქმედო საზოგადოებისა** ამით აცხადებს, რომ ამ აკადემიურ წლის დასაწყისიდან სწავლის ფული ემატებათ ქუთაისის საქალებო წმინდა ნინოს სასწავლებლის მოწაფეებს—თითო თუმანი (ათი მანეთი) და ამიტომ გადახდებათ ნახევარი წლის ფული მოსამზადებელ კლასების მოწაფეებს 30 მანეთი, 1, 2, და მესამე კლასებისას—32 მ. 50 კ.; 4, 5, 6 და 7 კლასებისას 35 მან. და 8 და 9 კლასებისას 40 მანეთი, (3—2)

პეტერბურგის ამხანაგობა

„ნადეჟდა"

ტფილისის კანტორა 1 აგვისტოდან გადადის ქნ. რატიშვილის სახლში (თავ. ირაკლისეული), სოლოლაკის და ფრეილინის ქუჩების კუთხეში და ოტტენის აფთიაქის პირდაპირ. (3—92—1)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალების ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი ვანიშვილისა № 15.

ექიმი
გ. ა. გედალინი
მადათოვის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღის ეკკლესიის პირდაპირ.
ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილით 8-დან 9 საათამდე საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (30—5.—7)

კბილის ექიმი
ივანე ჰ. ახალშენიშვილი
ანიჟლოდზისა (№ 32) და ხიდის. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—8. კვირა-უქმით 10—1-მდის.

საუკეთესოდ მოწყობილი
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.
ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.
პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნება.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

24 ივლისი

ნიუ-იორკი, 22 ივლისი. ხელმწიფე-დედოფალ მარიამ თეოდორეს ასულის სახელ-წოდებისა გამო, მართლმადიდებელთა ეკკლესიაში დილით წირვა გადაიხადეს; წირვას დაესწრნენ ვიტტე და როზენი მთელის თავიანთ ამალითა და რუსის კოლონიის ნაწილი. იქიდან ვიტტე და როზენი ოისტერბეიში წავიდნენ პრეზიდენტთან; როზენის წარდგენის შემდეგ, პრეზიდენტმა და რუსეთის რწმუნებულთ გულითადი სალამი უძღვნეს ერთმანეთს. ვიტტემ პრეზიდენტს ხელმწიფის საკუთარის ხელით დაწერილი წერილი ჩააბარა. ორის საათის საუბარს გულწრფელი ხასიათი ჰქონდა და შედეგად საქმის მდგომარეობის გამორკვევა მოჰყვა. გუშინ უფრო ბევრმა ნიშანმა იჩინა თავი, იმის მომასწავებელმა, რომ მოლაპარაკება სასურველად დასრულდება. დიდ მნიშვნელობას აძლევენ იმ გარემოებას, რომ გუშინ ინგლისის ელჩი დიურანი პრეზიდენტის სანახავად მოვიდა. ირწმუნებიან, ელჩი ჯერ კომურას ესაუბრაო.

ტოკიო, 22 ივლისი. მომავალი მოლაპარაკება საყოველთაო ყურადღებას იქცევს. საზოგადოებას, ეტყობა, მტკიცედა აქვს გადაწყვეტილი ისეთი პირობა მიაღებინოს, როგორიც იაპონიის გამარჯვებას შეეფერება და მკვიდრ ზავს უზრუნველჰყოფს, წინააღმდეგ შემთხვევაში ბრძოლა უნდა განაგრძონ.

ვლადივასტოკი, 22 ივლისი. ქალაქი კიონსიონი იაპონელებმა ბაზად გაიხადეს. ჯარიც იქ გადაჰყავთ და სანოვაგეც იქ გადააქვთ.

სიტეზა, 22 ივლისი. ღამით 20 ივლისს, კაოხეს ველზე, ყაზახების სოტნა სამგან ჩაუსაფრდა იაპონელებს და თოფი დაუშინა. იაპონელებმა უკან დაიწიეს. მეორე მზვერავმა რაზმმა ლანსუნჩენცზამდე წაიწია. ხმა დადის, ფუშუნს ახლოს, კორეელების მაშველი რაზმი დგასო. იაპონური ტანისამოსი აცვიათ, ბევრს ნაწნავი აქვსო.

ნიუ-იორკი, 23 ივლისი. იაპონიისა და რუსეთის რწმუნებულნი ოისტერბეის წავიდნენ კრეისერ „ჩაშანუგა"-თი.

ოისტერბეი, 23 ივლისი. იახტა „მაიფლაუერ"-თან, სადაც პრეზიდენტი რუზველტი იყო, მოვიდნენ იაპონიის რწმუნებულნი, რომელნიც წარუდგნენ რუზველტს, მათ 19 ზარბაზნის სროლით მიეგებნენ. ამის შემდეგ 19-ჯერ გაისროლეს კიდევ რუსების რწმუნებულების პატივსაცემლად, რომელნიც მიიღეს იმავე ცერემონიითა და პატივით.

გოძიადანი. როგორც კერძო ხმები დადის, იაპონელებმა უკან გადაიყვანეს ის დესანტი, რომელიც დეკასტრში იყო გადმოყვანილი. დეკასტრში შენობები დასწვეს.

სიტიაზა. 20 ივლისს, დილით, მარცხენა ფრთიდან ჩვენი მზვერავები შიმოიცზისკენ წავიდნენ. დანარჩენმა პატარა რაზმებმა ლიზიატაი-ნანჩენცზის ფრთების უზრუნველსაყოფად, დღის პირველ საათზე, დაიჭირეს ნაშენცზი. იაპონელებმა დაიჭირეს მიწის საფრები ორის ვერსის მანძილზე. საღამოთი იაპონელებმა დაიხიეს მთავარ პოზიციისკენ. 21 ივლისს, დილით, ჩვენებმა წინ წაიწიეს. იაპონელების კონტრ-იერიში მოიგერიეს არტილერისტებმა. ამის შემდეგ ჩვენი რაზმი წინანდელ პოზიციისკენ წავიდა.

ვლადივასტოკი. სარწმუნო ცნობებით, 14 ივლისს კორსაკოვის პოსტზე მოვიდა შლიუპკა, 5 ივნისს დამტვრეულ საპრიზო გემ „ოლდგამია"-სი. ამ შლიუპკაზე იყვნენ პრაპორშჩიკი ლემანი და 10 მატროსი; 3 პრაპორშჩიკი და 25 მატროსი ჯავშნოსნებ „ოსლიაბია"-სა და „ბოროდინო"-სი.

პარიზი. „ტან"-ი ამბობს სახალინის დაჭერის შესახებ, ეს ფაქტი და აგრეთვე რუსეთისა და იაპონიის შეხედულობათა უთანხმოება კონტრიბუციის საკითხის შესახებ გვაიძულებს აღვიაროთ, რომ ზავის შესახებ მოლაპარაკებანი იწყება არა სამშვიდობო პირობებშიო. ასეთივე აზრი მეფობს საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებშიაც.

ვაშინგტონი. ამერიკის გენერალურმა კონსულმა შანხაიში აცნობა, რომ ჩინეთის სავაჭრო პალატამ შანხაიში უარი განაცხადა ამერიკის საქონლების ბოიკოტის გაგრძელებაზე.

ოისტერბეი იახტა „მაიფლაუერ"-ზე რწმუნებულნი მიესალმნენ და მაგრად ჩამოართვეს ხელი ერთმანეთს; მათ ეტყობათ, რომ გულწრფელი განზრახვა აქვთ თავი დააღწიონ საქმის გართულებას. რუზველტმა საზოგადოება მთავარ დარბაზში მიიწვია; რუზველტი წინ მიდიოდა, მას უკან ვიტტე და კომურა, მერმე დიოდნენ როზენი და ტაკახირა.

სიმლა, 22 ივლისი. („ტაიმს"-ი") ხმა დადის, შემოდგომაზე რკინის გზის გაყვანას დაიწყებენ პეშავერიდან ავღანისტანის საზღვრამდე. სად გათავდება რკინის გზა—ამ საქმის გადაწყვეტა ცოტა ხნით გადადეს და, ალბად, ემირთან შეთანხმებით გადასწყვეტენ.

ნიუ-იორკი, 22 ივლისი. კარნეჯის დაწესებულებათა საშუალებით დაარსებული ექსპედიცია მალე წავა წყნარ ოკეანეში მაგნეტიურ მოვლენათა გამოსაკვლევად.

ჰელსინგფორსი, 22 ივლისი. მთავრობამ საკითხი აღძრა, რომ ფინლიანდიაში პოლიტიკურ დამნაშავეთა საქმეები ადგილობრივ სასამართლოების ნაცვლად ამას იქით რუსის სამხედრო სასამართლოებს ექვემდებარებოდესო. ფინლიანდიის სენატმა უქვეშევრდომილესი შუამდგომლობა აღძრა, რომ ეს ღონისძიება არ აასრულონ. სენატს დღეს შეატყობინეს, რომ ეს შუამდგომლობა უმაღლესად უარ-ყოფილ იქმნაო.—ფინლიანდიის სენატს საფინანსო ექსპედიციის უფროსად დაინიშნა სენატის კამერგერი, ძველი ფინომანი ნავალუსი, 32 წლისა.

პარიზი, 23 ივლისი. ნაციონალისტმა გიუო ვილნევმა გამოაცხადა, რომ პინიეს დანიშვნისა გამო შეეკითხები მთავრობას და ხელ-ახლად დავიწყებ დაბეზღების შესახებ ცნობების გამოცხადებასაო. „ეკლერ"-მა ცნობა დაბეჭდა, რომ წარსულ წელს პინიემ მფარველობა გაუწია სოციალისტ-ჟურნალისტს, რომელმაც შეურაცხყოფა მიაყენა აფიცერ დრაგუნსა და ვითომ ჯილდოს დაჰპირდა ერთ უნტერ-აფიცერს ჩვენების მიცემისათვის დრაგუნთა წინააღმდეგაო.

ვილნა. პოლიცმეისტერი იწვევს მცხოვრებელთ შეგროვილ ხალხში ნუ გაერევით, რადგან შეკრებილ ხალხს ჯარი გაჰფანტავს და თუ წინააღმდეგობას გაუწევენ, იარაღსაც მოიხმარებსო.

პეტერბურგი. სახელმწიფო ჯარის წინდა წინის ცნობებით, 1005 წლის პირველ ოთხ თვეს შემოსულა—626 მილიონი 490 ათასი მანეთის ჩვეულებრივი შემოსავალი, 1904 წელთან შედარებით 4 მილიონით 361 ათასით ნაკლები; იმავ 1905 წ. პირველ ოთხ თვეს შემოსულა განსაკუთრებული შემოსავალი—291 მილიონი 74 ათასი მანეთი, 1904 წელზე—280 მილიონ 981 ათას მანეთით მეტი. გასტუმრებულია ჩვეულებრივი ხარჯი—640 მილიონ 189 ათას მანეთისა, შარშანდელზე 15 მილიონ 873 ათას მანეთით ნაკლები, განსაკუთრებული ხარჯი—355 მილიონ 537 ათას მანეთისა, შარშანდელზე 270 მილიონ 122 ათას მანეთით მეტი.

ბერლინი, 23 ივლისი. „ნორდ. ალგ. ცაიტუნგ"-ის ცნობით, გერმანიის აღმოსავლეთ აფრიკის გუბერნატორმა მოხსენება გამოგზავნა, ნაგუშბის მთების მკვიდრ მცხოვრებლებში არეულობა დაიწყო რაღაც უცნობის მიზეზითაო.

პეტერბურგი, 23 ივლისი. ფინანსთა სამინისტროს კომიტეტის დადგენილებით, რომელიც უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა, ნაბრძანებია, საგლეხო ბანკმა ხელ-ახლად დაიწყოს საკუთარ თანხიდან სესხის გაცემა ადგილების საყიდლად, 55-ნახევარ წლის ვადით, 5¾ პროცენტად: ამის დაგვარად იმ ახალ სესხების გადახდის წესიც უნდა შეიცვალოს, რომლებიც სხვა ვადითაა აღებული.

სევასტოპოლი, 23 ივლისი. სამხედრო საზღვაო სასამართლოში ტრანსპორტ „პრუტ"-ზე მომხდარ აჯანყების გარჩევა დაიწყეს. ბრალდებულია—44 კაცი, მოწმე—78. საქმის გარჩევა სამს დღეს გასტანს.

კელცი, 23 ივლისი. მეხოვის მიდამოებში საშინელმა ქარიშხალმა დიდი ზარალი მისცა ხალხს.

კიშინევი. უკანასკნელ დღეებში საშინელი სიცხეა, 45 გრადუსამდე აღწევს.

ნოვოროსიისკი. საშინელი ქარი ჰქრის. იწვის რკინის გზის ბელლები.

ადესა. ცეცხლის დროს პორტში დაიწვა 30 ათასი ფუთი შაქარი. დაიწვა აგრეთვე აუარებელი ჩაი, რომელშიაც 80 ათასი მან. იყო ბაჟად მიცემული.

ხერსონი. ხერსონის გუბერნატორმა ცირკულიარები გაუგზავნა ერობებს, რომლებშიაც ის აღნიშნავს, რომ ერობები უკანონოდ იქცევიან, როცა გლეხები პეტიციებს იღებენ უმაღლესს სახელზე გასაგზავნად; ამასთან ის სწერს ერობებს, რომ საჭიროა ერობებში მოსამსახურეებს უფრო ბეჯითად ედევნოს თვალიო.

ოჩაკოვი. 40 შეიარაღებულმა ბოროტ-განმზრახველმა გაძარცვა ხაზინა. სალაროს გასტეხეს, წაიღეს 20 ათასი მანეთი. მოჰკლეს ორი დარაჯი, სამი დასჭრეს. ძარცვა ნახევარ საათს გაგრძელდა. ტელეგრაფის მავთულები გადაჭრილი იყო. ბოროტ-განმზრახველნი მიიმალნენ.

პავლოგრადი. სინელნიკოვის თოფის წამლის ქარხანაში აფეთქება მოხდა. მოკლულია ერთი, დაჭრილია სამი.

მოსკოვი. დაიჭირეს საერთაშორისო ქურდების ბრბო.

შერბურგი. საფრანგეთის ესკადრა სოლამოს კოუსში წავიდა.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

24 ივლისი.

ნიუ-იორკი, 23 ივლისი. ვიტტე და ბარონი როზენი რუსთა ეკკლესიაში წირვას დაესწრნენ. ღმერთს შეევედრენ მშვიდობიანობის დამყარებაზე.

ოფიციალურად გამოცხადდა, რომ პრეზიდენტისა და რუსეთ-იაპონიის რწმუნებულთა აუდიენციის შესახებ გაზეთებში არაფერი არ დაიბეჭდება.

ნიუჰემპშირის გუბერნატორს ეჭვი დაებადა იმ ცერემონიალის შესახებ, რომლით უნდა მიიღოს რწმუნებულნი, და რუზველტს შეეკითხა, უკანასკნელმა სახელმწიფო დეპარტამენტს მიჰმართა. ეჭვი იმან გამოიწვია, რომ იაპონელები რუსებზე უფრო ადრე ჩამოვიდნენ ამერიკაში; მაგრამ, სამაგიეროდ რუსებს იაპონიაში საელჩო აქვთ დაწესებული, იაპონელებს-კი მხოლოდ სადიპლომატო მისია. ამზოგზენ, სახელმწიფო დეპარტამენტმა პარიზში იკითხა რჩევა ცერემონიალის შესახებ. ჰფიქრობენ, რომ საქმე ასე გამოირკვა: იაპონელებს პირველობა და უპირატესობა ექნებათ. ხმა არის, ვითომ კომურას თვითონვე ეთქვას, რომ იაპონელებს, როგორც გამარჯვებულებს, ეკუთვნის პირველობაო. ინგლისის ელჩი დიურანი იმ სასტუმროში სცხოვრობს, სადაც იაპონელები ჩამოხტნენ. დიურანი რამდენსამე საათს ესაუბრა რუზველტს.

აქ ჩამოვიდა ორი კორეელი, რომელთაც განზრახვა აქვთ სთხოვონ ამერიკის მთავრობას დახმარება კორეის დამოუკიდებლობის დაცვის საქმეში მომავალ მოლაპარაკების დროს.

გაზეთი „ნიუ-იორკ-ჰერალდი" იტყობინება, ვითომ ვიტტეს უთქვამს რუზველტისათვის—ვეჰობ მშვიდობიანობა დამყარდეს, რადგან იაპონელები ერთობ ბევრს თხოულობენო.

ოისტერბეი, 22 ივლისი. კონფერენცია, ალბათ, დიდხანს არ გაგრძელდება. ერთს დელეგატს უთქვამს,—ამ კონფერენციას მოსამზადებელი ხასიათი აქვსო, შემდეგ-კი მეორე, საბოლოო, კონფერენცია იქნება მოწვეული ზავის პირობების შესამუშავებლადო. ხმა არის, რომ, როცა რუზველტი ვიტტეს ესაუბრებოდა მშვიდობიანობაზე, ვიტტემ უპასუხა: ყველაფერი იაპონიისაგან არის დამოკიდებული. თუ პირობები ზომიერი იქნება, მე უფლება მაქვსო, სთქვა ვიტტემ, ზავის პირობებს ხელი მოვაწეროო.

ლონდონი, 23 ივლისი, (სააგენტოს საკუთარ კორესპ.). ამერიკიდან იტყობინებიან, ვიტტე ძალიან გაჯავრებულია იმის გამო, რომ ამერიკელი ჟურნალისტები ბევრ ჭორებსავრცელებენ იმის ნათქვამ-ნალაპარაკევის შესახებაო. ამასთანავე გაზეთ „გლობ"-ის კორესპონდენტი იწერება, რომ კომურა იმდენად აღშფოთებულია ვიტტეს ვითომ ნალაპარაკევით, რომ თავის მთავრობას დეპეშა გაუგზავნა ამის თაობაზეო.

პეტერბურგი. ოფიციალური ცნობანი შორეულ აღმოსავლეთიდან 23 ივლისს არ მიგვიღია.

სამხედრო ტყვეთა ცენტრალურ ბიუროს ანგარიშიდანა სჩანს, რომ ივნისში ბიურომ მიიღო ცნობები 9361 რუს-ტყვეს შესახებ, მათ შორის 135 აფიცერია და 9226 სალდათი; გარდა ამისა ბიუროს აქვს ცნობები იმ 237 ტყვე სალდათზე, რომელნიც იაპონიაში გარდაცვლილან. ბიუროს, მოღვაწეობის დასაწყისიდან დღემდე, სულ გაუგზავნია ტყვეებისთვის 69088 მან. 46 კაპ. 15 გირვანქა სტერლინგი და 4591 სხვა და სხვა ამანათი.

25 ივლისი

პარიზი. პრეზიდენტმა საუზმე გაუმართა იაპონიისა და რუსეთის რწმუნებულთ გემ „მაიფლაუერ"-ზე. რუზველტმა შემდეგი სადღეგრძელო მიირთვა: „ვსვამ სადღეგრძელოს, რომელზედაც პასუხის მოცემა საჭირო არაა: დასცალეთ თქვენი ჭიქები ფეხზე დგომით და ხმა ამოუღებლივ. ადღეგრძელოს და კეთილად ამყოფოს ღმერთმა ორივ დიდებულ ერის მეფეები, რომელთა წარმომადგენლები ამ იახტაზე შეხვდნენ ერთმანეთს. მხურვალე ჩემი სურვილია და უგულწრფელესი თხოვნა, რაც შეიძლება ჩქარა დამყარდეს სამართლიანი და მკვიდრი მშვიდობიანობა არა მარტო ორ მებრძოლ სახელმწიფოსა, არამედ მთელს კაცობრიობის სასარგებლოდ". საუზმეზე დიდი გულწრფელობა ჰსუფევდა. იაპონელები გულითადათ გამოეთხოვენ რუსებს და გამოთხოვებისას უთხრეს: „ნახვამდის, ორშაბათამდის". როცა იაპონიის რწმუნებულებმა გაიარეს, აუარებელი ხალხი ჩუმად იდგა; ხოლო როცა შემდეგ ვიტტემ გაიარა, იმას დიდის ალტაცებით მიეგებნენ. ამერიკის წრეებში ყურადღებას აქცევენ განსხვავებას, რომლით ხალხი ეგებება იაპონელებსა და რუსებს.

24 ივლისი.

პეტერბურგი. 33 ივლისს პეტერჰოფში მოხდა მესამე სხდომა განსაკუთრებულის საბჭოსი. ბულიგინის პროექტის განხილვა ჯერ არ დამთავრებულა. ფიქრობენ, რომ კიდევ სამ სხდომას მაინც მოანდომებენ.

ვერხნედნეპროვსკი. გაზეთ „ვესტნიკ იუგა"-ს სიტყვით, მთავრობას განკარგულება მოუხდენია, რომ გაძლიერებულის დაცვის დებულება კიდევ ერთ წლიწადს იმოქმედებს ეკატერინოსლავის გუბერნიაშიო.

მოსკოვი, 23 ივლისი. სამხედრო სასამართლომ ხალხის დაუსწრებლად განიხილა გრაფ შუვალოვის მკვლელის, კულიკოვსკის საქმე. დამნაშავემ განაცხადა, ციმბირში გაგზავნილისა და გლეხის დედაკაცის შვილი ვარ, ტობოლსკი გუბერნიაში დავიბადე მეტად ღარიბ ოჯახშიო. ხუთმეტი წლიწადი ვმასწავლებლობდი და ოჯახს ვარჩენდიო. როდესაც პირველად გამოვერკვიე, არც ერთს პარტიას არ ვეკუთვნოდიო; მაგრამ აკრძალული გამოცემები მინახეს და ამისთვის 15 თვის ციხეში დამწყვდევის შემდეგ ექვსის წლით იაკუტსკი ოლქში გამაგზავნესო. აქედან გავიქეცი და არა ლეგალური ცხოვრება დავიწყეო. სოციალისტ-რევოლიუციონერთა კომიტეტის დადგენილებით, მოსკოვის გენ.-გუბერნატორი გრაფი შუვალოვი უნდა მომეკლა იმის ადესაში მოღვაწეობისათვისო. ტყვიები, რომლებიც გრაფს მოხვდა, მოწამლული არ იყო; მხოლოდ ერთი ტყვია, რომელიც რევოლვერში დარჩა და რომლითაც მე უნდა მომეკლა თავი, იყო მოწამლული; მაგრამ თავის მოკვლა ვერ მოვასწარიო. სასამართლოში კულიკოვსკის დაწყნარებითა და კარგად

გეწორა თავი; სარევოლუციო მოღვაწეობას იმით ამართლებდა, რომ მშვიდობიანის გზით ვერაფერს მიაღწევს ხალხი. განაჩენი 4 საათზე გამოცხადდა საჯაროდ. ბრალდებულს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს. სასამართლოს დარბაზში მხოლოდ ცოლი და ორი შვილი შეუშვეს. განაჩენი გენერალ-გუბერნატორმა უნდა დაამტკიცოს. დამცველმა საკასაციო საჩივარი შეიტანა.

პეტერბურგი. სახელობითი უმაღლესი ბრძანება სამხედრო მინისტრს და უმართებულეს სენატისადმი: ვუცხადებთ რა საჭიროდ იმიერ-კავკასიის რკინის გზების მოქმედების უზრუნველყოფისათვის მოუწყოთ სამხედრო სასამართლო ამ გზაზე მოსამსახურე სამოქალაქო ჩინის კაცებს, გიბრძანებთ ახლავე მოიყვანოთ სისრულეში ამ საგნის შესახები [illegible] დებულებანი. [illegible] კავკასიაში. ხელმოწერილია ხელით: „ნიკოლოზი“. პეტერჰოფი, 1905 წ. 18 ივლისი. —როგორც გადმოგვცემენ სხვას, ხმები დადის, ვითომც [illegible] განზრახვა ყოფილა, გადასცეს [illegible] პროექტი, რომელსაც [illegible] —[illegible] თავადმარის ადგილს სვიატოპოლკ-მირსკის ჩააბარებენ. —ამბობენ, უწმ. სინოდში საკითხი აღძრეს ყველა ეპისკოპოსის შესახებ საქმეების გამოკვლევისა და ცალკე სამართლის დაარსებაზედ. როგორც ხმებია, სახელმწიფო კონტროლერის ყოფილ ამხანაგს ზვეგინცევს ანდობენ ყველა იმ სააქციონერო საქმეების რევიზიას, რომელთაც კავშირი აქვთ კორეის ნახევარ კუნძულის კონცესიებთან.—შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნება დართო, ზოგიერთ ნავთის მრეწველმა დაარსონ მილიციის მაგვარი რამ თავიანთ საწარმოების დასაცველად. ამიტომ ეს მრეწველები ჰყიდულობენ ამ ჟამად პეტერბურგში თოფებსა და საბრძოლო მასალას.—კრამარენკოს მკვლელს, პროკოპეს, როგორც ამბობენ, არ გადასცემენ სამხედრო სასამართლოში.

პეტერბურგი. კ. ი. არაბაჟინსა და ვ. ვ. ბარიატინსკის ნება დართეს პეტერბურგში გამოსცენ გაზეთი სახელად „სევერნი გოლოს“ უწინასწარო ცენზურით.

კიევი, 24 ივლისი. გუშინ საღამოს, [illegible] კორნის ბინაზე, როცა თვითონ კორნი შინ არ იყო, მივიდნენ 19 წლის ებრაელი ქალი მასხელი და ეკატერინოსლავის სამთო სასწავლებლის ყოფილი სტუდენტი ორლოვსკი; უკანასკნელმა ფიცხლად დაახალა რევოლვერი თავში მასხელს, რომელიც, საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ, გარდაიცვალა. მიზეზი გამოურკვეველი დარჩა. კორნის ბინაზე პოლიციამ აღმოაჩინა იარაღის საწყობი, რევოლვერები, კასტეტები და სხვა.

ოდესა. გენერალ-გუბერნატორის დადგენილებაში ნათქვამია: 20 ივლისს, საღამოს 7 საათის ნახევარზე მეშჩანების ქუჩაზე შეიკრიბნენ 150-მდე ებრაელი. როცა მეეზოვემ დაშლა მოსთხოვა, მას მივარდა სამი კაცი და მოკვლა დაუპირეს. ერთი დაიჭირა მეეზოვემ, დანარჩენები გაიქცნენ. დაჭერილი აღმოჩნდა ბლაუშტეინი. შეიკრიბნენ 500-მდე ებრაელები და დაჭერილის წართმევა მოინდომეს. მეტად კადნიერად იქცეოდა ბერკოვიჩი. მან მოინდომა ბლაუშტეინის განთავისუფლება, შესტა დროშკაზე, მაგრამ დაიჭირეს. იმავე დროს გურადნიკის სამკერვალოდან პოლიციელებს დაუშინეს ქვები და თოფები. გუბერნატორმა დაადგინა, ბლაუშტეინი, ბერკოვიჩი და გურადნიკი ოლონეცის გუბერნიაში გაგზავნონ, გურადნიკის სახლობა კი დაიკეტოს.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ინგლისი და გერმანია. როგორც დეპეშებიდან ვიცით, ინგლისი ესკადრის გაგზავნას აპირობს ბალტიის ზღვაში. „ბერლინერ ტაგებლატ“-ი იუწყება: ინგლისი 12 ჯავშნიან გემს, 9 ჯავშნიან კრეისერს და რამდენსამე ნაღმოსან ფლოტილიას გაგზავნის ბალტიის ზღვაშიო. ინგლისური გაზეთები ამბობენ, ჩვენი ესკადრა მხოლოდ იმ აზრით იგზავნება ბალტიის ზღვაში, რომ გერმანიისა და რუსეთის ფლოტს ზრდილობის წესისამებრ ვიზიტი გადაუხადოს ინგლისის ზღვებში მრავალჯერ მოსვლისათვისაო, მაგრამ გერმანიის პრესას ეჭვი არ მოსდის ინგლისელების ზრდილობა და ვიზიტის გადახდა სიამოვნების მაგივრად დიდ დარდსა და ფიქრში აგდებს. ცნობილი პუბლიცისტი გრაფი რევენტლოვი სწერს „ბერლინერ ტაგებლატ“-ში: მას, აქეთ რაც რუსეთს თითქოს მთელი ფლოტი დაეღუპა, სახელმწიფოთა პოლიტიკური თანასწორობა ბალტიის ზღვაში ძლიერ შეირყა, ინგლისის ესკადრის მოსვლა ბალტიის ზღვაში მეტად სერიოზული პოლიტიკური დემონსტრაცია იქნებაო.

გერმანიის ოფიციალური პრესა თხოულობს, ინგლისის ესკადრა არ უნდა შეუშვათ ბალტიის ზღვაში, რადგან უცხო ესკადრის მოსვლა ჩვენს ნაპირებთან მუქარას მოასწავებსო.

ინგლისური პრესა შენიშნავს, გერმანია თავის, შედარებით, მცირე ფლოტით ვერ დაუშლის ინგლისის ესკადრას ბალტიის ზღვაში მისვლასო. ფიქრობენ, რუსეთი არ დასთანხმდება, რომ გერმანიამ ბალტიის ზღვა ჩაკეტოსო. გაზეთების პოლემიკის კილო თანდათან მწვავდება.

ზოგიერთ გერმანულ გაზეთს იმედი აქვს, რომ საფრანგეთი არ მიემხრობა ინგლისსაო, მაგრამ ცნობილი ინგლისელი პუბლიცისტი არნოლდ უაიტი სწერს „სინდეი სინ“-ში: თუ საჭირო იქნება, ინგლისი და საფრანგეთი ერთად დადგებიანო. სხვა ინგლისური გაზეთები შენიშნავენ, იმპერატორი ვილჰელმი ძლიერ ცდილობს საფრანგეთი როგორმე ჩამოაშოროს ინგლისს, მაგრამ ვერასა ხდებაო.

ამერიკის პრესას მეტად საშიშად მიაჩნია გერმანიისა და ინგლისის დავა, იქნება ამ დავამ ორ სახელმწიფოს შუა ბრძოლა ატეხოსო. („რ. ს.“).

„რუსკოე სლოვო“-ს დეპეშით ატყობინებენ ბერლინიდან 19 ივლისის თარიღით: ზოგიერთ გერმანულ სოციალ-დემოკრატიულ გაზეთს ეშინიან, ვაი თუ ინგლისსა და გერმანიას შუა ომი ასტყდესო.

გერმანიის მოქმედება იაპონიის წინააღმდეგ. ზოგიერთი გაზეთი ირწმუნება, გერმანიის მთავრობა არც თუ იაპონიის უსვენებს და ყოველნაირად ცდილობს, მორიგების დროს რუსეთს დახმარება გაუწიოსო. პარიზის დიპლომატთა წრეებში ლაპარაკობენ, გერმანიას ხმამაღლად მოლაპარაკება აქვს გამართული ევროპის სახელმწიფოებთან კოალიციის შედგენაზე. სახელმწიფოთა კოალიციამ „ყვითელ საფრთხის“ წინააღმდეგ უნდა იმოქმედოს და იაპონიის მოთხოვნილება შეამცირებინოს, რადგან, თუ იაპონია მეტად სასარგებლო პირობით შეჰკრავს ზავსა, მაშინ შორეულ-აღმოსავლეთში ევროპის სახელმწიფოებზე უფრო ძლიერი გახდება. ყველანი ფიქრობენ, რომ საზავო მოლაპარაკების დაწყებამდე დიდი ამბები მოხდებაო, მაგრამ რა ხასიათი ამბები მოხდება,—ეს სწორედ არავინ იცის. თუ გერმანია კოალიციის შედგენას ვერ მოახერხებს, იგი გამოაცხადებს, რომ იაპონიის [illegible] ხელს არ მისცემსო. („რ. ს.“).

როგორც დეპეშიდან ვიცით, ზავზე მოლაპარაკება გუშინ, 25 ივლისს, უნდა დაწყებულიყო, ამიტომ მალე გამოჩნდება, რამდენად მართალია ეს ხმები და თუ მართალია, რას გახდება გერმანია.

რუსეთ-იაპონიის მომავალ კავშირზე. ამერიკის პრესის წარმომადგენლებს უკითხავთ კომურას მდივნის სატოსათვის, მართალია ხმა რუსეთ-იაპონიის მომავალ კავშირზეო. სატოს პასუხის მაგივრად გაუცინია. („რ.“).

ამავე საგანზე ერთს გამოჩენილ დიპლომატს უთქვამს „ნ. ვინერ ტაგებლატ“-ის თანამშრომლისათვის: მართალია, ხმა დადის, ვითომ იქნება ზავზე მოლაპარაკების შედეგად, სხვათა შორის, რუსეთ-იაპონიის კავშირიც მოჰყვესო, მაგრამ ეს კავშირი შეუძლებელია, რადგან იაპონია ინგლისთანაა დაკავშირებული და ეხლა ლაპარაკია აღძრული, რომ ეს კავშირი 1907 წლიდან ახალ ვადით შეიკრასო. იაპონია არ უღალატებს ინგლისს და უიმისოდ სხვა სახელმწიფოსთან კავშირს არ შეჰკრავსო. კავშირი არა და შორეულ აღმოსავლეთის საქმეებზე შეთანხმების ჩამოგდება-კი რუსეთსა და იაპონიას შუა შესაძლებლად მიმაჩნიაო. („ნ. ვ.“).

მაინც ნაადრევია რუსეთ-იაპონიის კავშირზე ლაპარაკი. ჯერ ვნახოთ, მორიგება როგორ მოხდება.

ჩინეთი და სამშვიდობო კონფერენცია. დეპეშებიდან ვიცით, რომ რუსეთს ჩინეთიცა სთხოვს ზარალის საზღაურს. ერთ გამოჩენილ ჩინელ დიპლომატს უთქვამს „ბერლ. ლოკალ ანცაიგერ“-ის თანამშრომლისათვის: „ჩინეთის მთავრობა დიდის ყურადღებით ეკიდება სამშვიდობო კონფერენციას. ქვრივმა დედოფალმა და იმპერატორმა ჩინეთის ყველა მეფის მოადგილესა და გუბერნატორს მიჰმართეს თხოვნით, საერთო მემორანდუმში თქვენი აზრი გამოსთქვით, თუ რანაირად მოიქცეს ჩინეთი მანჯურიის საქმეში და ეს მემორანდუმი მთავრობას წარმოუდგინეთო. ამისთანავე ქაღალდი ჩინეთის წარმომადგენლებსაც გაუგზავნეს საზღვარ-გარედ. პასუხის მიღების შემდეგ ჩინეთის მთავრობა თავის მოთხოვნილებას შეადგენს მანჯურიის საქმეზე და სამშვიდობო კონფერენციას წარუდგენს, ჩინეთი მარტო ომის დროის ზარალს როდი დასჯერდება. ანგარიშში იქნება მიღებული აგრეთვე ის ზარალიც, რომელიც ჩინეთის ფინანსებს რუსეთის მიერ მანჯურიის დაჭერით მოუვიდა, ხოლო ამ დაჭერას, როგორც იცით, იაპონელებიც უკანონოდ სთვლიან. ცხადია, ჩინეთის მთავრობა დარწმუნებულია, რომ იაპონია დაუბრუნებს მანჯურიას. ყოველ შემთხვევაში, დარწმუნებული უნდა ბრძანდებოდეთ, რომ წინად იმპერია (ჩინეთი), თუ აქამდე [illegible] ჩუმად უგდებდა ყურს რუსეთისა და იაპონიის ბრძოლას, ამას იქით შესაფერის გაბედულობით მოიქცევა და მგონია, რომ ჩვენ მეტად საინტერესო ამბებს მოვესწრებით“. („რ. ს.“).

იაპონელები კორეიაში. იაპონიამ კარგად იცის, რომ მარტო ჯარისა და ფლოტის შემწეობით ვერ მოიკიდებდა ფეხს კორეიაში და თავის გავლენის გასაძლიერებლად სკოლის მასწავლებლის შემწეობას მიჰმართა. იაპონელებმა ათიოდე წლის წინად სეულში გამართეს სკოლა და მერე თან და თან მრავალი სკოლა გახსნეს, სადაც ყველა კორეელს იღებენ წოდებისა, სქესისა და ხნოვანების გაურჩევლად. კორეის მთავრობის სკოლებში მარტო თავად-აზნაურებს იღებენ, იაპონიის სკოლებში-კი ყველა წოდების ბავშვს იღებენ. გარდა იმისა, რომ კორეის ყველა ზღვის სანაპირო ქალაქში გახსნეს სკოლები, იაპონელებმა სეულ-ფუზანის რკინის გზის ყველა სადგურზეც გამართეს სასწავლებლები. თვითონ რკინის გზაც არ იყო ჯერ გახსნილი, რომ ამ სკოლებში სწავლა დაიწყო. იაპონელებმა თავიანთ ხალხისათვის ბევრი სკოლა გახსნეს კორეიაში და ისე ბეჯითად ეკიდებიან სწავლის საქმეს, რომ მალე მთელ „დილის მშვიდობის ქვეყანას“ (კორეიას) სკოლებით გაავსებენ, ისე როგორც ადრე კუნძული ფორმოზა გაავსეს. („ს.“).

იაპონიის ფლოტის მოქმედება. „დეილი ტელეგრაფ“-ის კორესპონდენტი იუწყება ტოკიოდან: ვლადივოსტოკს იაპონიის ძლიერმა ესკადრამ შემოარტყა ალყა. ადმირალ იესენის ესკადრა (ვლადივოსტოკის ესკადრა) პორტში მოამწყვდია. რუსის ადმირალი ზღვაში ველარ გავიდა და ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ გაუწია იაპონელებს ვერც სახალინზე და ვერც ვლადივოსტოკს გარშემო ბუხტებში, სადაც იაპონიის მზვერავი გემები დადიან. არა თუ მარტო ვლადივოსტოკის პორტი, მთელ პრიმორის ოლქს და ჩრდილოეთ-კორეის ნაპირებს შემოარტყეს ალყა. იაპონელებს, აშკარაა, აზრად აქვთ, რუსის სამფლობელოს მთლად მოუჭრან ზღვის გზა და საკვებ სურსათის შოვნი გაუძნელონ. ამას გარდა, იაპონიის არმიაც ხმელეთიდან მოსჭრის ვლადივოსტოკისა და ხაბაროვსკის გზას, გენ. ლინევიჩის არმიას მთლად მოსწყვეტს ხსენებულ ქალაქებს და ამით ხაბაროვსკისაკენ დაახევინებს უბრძოლველად. („ო. ნ.“).

ერობა ჩვენში

რუსულს სატახტო ქალაქების გაზეთებშიაც სწერენ ჩვენში ერობის შემოღების შესახებ. ჩვენის მკითხველებისათვის, რომელთაც იციან ჩვენი აზრი ამ დაწესებულების შესახებ, საინტერესოა იცოდენ—რასა სწერენ და რას ჰფიქრობენ ჩვენს ქვეყანაში ერობის შემოღების შესახებ საუკეთესო რუსული გაზეთები. „სინ ოტეჩ.“-ში ორი წერილია დასტამბული ამ საგანზე,—ორივე სარედაქციო. მოგვყავს თითქმის შეუცვლელად.

„ამიერ-კავკასიაში შეუდგნენ წინასწარ მუშაობას ერობის შემოღებისათვის. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის განსხვავება, რომელიც არსებობს ამ საქმეში ციმბირსა და კავკასიაში. მაშინ როდესაც ციმბირში გრაფ კუტაისოვმა განიზრახა კანცელარიული წესით შეჰკრიბოს მცოდნე პირთა აზრი, ამიერ-კავკასიაში ამისათვის უფრო სწორი გზა აურჩევიათ, თუმცა არც ის არის სრულიად სამართლიანი და დამაკმაყოფილებელი. კავკასიის ნამესტნიკს გადაუწყვეტია ერობის საქმე განიხილოს სამაზრო და საგუბერნიო საბჭოებში, რომელთა წევრებად იქნებიან თავად-აზნაურთა, მოქალაქეთა და გლეხთა წარმომადგენელნი; ამ წარმომადგენელთ აირჩევენ და არა დანიშნავენ.

კავკასიელნი მოელოდნენ საყოველთაო და პირდაპირის კენჭის ყრით არჩეულ წარმომადგენელთა კრებას, რადგან მხოლოდ ამ გზით შეიძლება ქვეყნის ნამდვილ აზრის გაგება; მაგრამ არც ახლა განზრახული არჩევნები და საბჭოების მოწვევა ჩაივლის უმნიშვნელოდ, თუ ერობის პროექტის განხილვამდე პრესასა და საზოგადოებას მიანიჭებენ უფლებას თავისუფლად იკამათონ ხსენებულ საგნის გამო...

პირველსავე კრებაზე, რომელიც მოხდა ნამესტნიკის საბჭოში და რომელზედაც წარმომადგენლები შემთხვევით მიიწვიეს, აღმოჩნდა ორი მიმართულება: ერთნი ამტკიცებდნენ, საჭიროა მოისპოს ქონებრივი ცენზი და ყველას ერთნაირი უფლება მიეცეს არჩევნებში; გარდა ამისა საჭიროა წინდაწინვე გამოცხადდეს სიტყვისა და წერის თავისუფლება. მეორენი-კი ცენზის მომხრენი იყვნენ. ამას წინად გენერალმა მალამამ სცადა და ადგილობრივ პრესსას მიანიჭა თავისუფლება გურიის საქმეებზე წერისა და მხოლოდ ამ გზით გაიგო იმ ქვეყნის ნამდვილი მდგომარეობა. ამავე გზას უნდა დაადგეს კავკასიის ახალი ადმინისტრაცია, თორემ ბიუროკრატიულის წესით რეფორმას ვერ განახორციელებს და ფონს ვერ გავა“.

შემდეგ გაზეთი ეხება იმათ აზრს, ვინც ცენზის მომხრეა ერობაში და ამბობს—ესენი აგრარიები არიან, რომელთაც ჰსურთ აწინდელი მდგომარეობა შეინარჩუნონ სოფელში; კავკასიაში ცენზის მომხრენი არიან, ალბათ, ის მემამულენი, რომელთაც არ ჰსურთ მოისპოს ის უსამართლო ანახრონიზმი, რომელსაც სახელად ეწოდება გლეხთა დროებითი ვალდებულებაო...

პირველ წერილის დასასრულ გაზეთი ამბობს:

„მემამულეთა და ბიუროკრატიის ბატონობამ მდიდარი კავკასია ეკონომიურად დაალარიბა და არ მისცა ხალხს კულტურული დაწესებულებანი; ერობა მასთვის საჭიროა, მაგრამ ერობა ნამდვილი და არა მხოლოდ სახელწოდებით. ნამდვილმა თვით მართველობამ-კი ცენზი არ იცის, რადგან საჭიროა გლეხნიც, მუშებიც, განათლებული ხელმოკლე ინტელიგენტებიც იღებდნენ მონაწილეობას თვით მართველობაში და არა მარტო მემამულენი და ვაჭარ-მრეწველნი.

კავკასიაში წინანდებურად არ იქნება არც სკოლები, არც საავადმყოფოები, არც გზები, არც საეკონომიო ღონისძიებანი იქნება მიღებული უმრავლესობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, თუ ხალხი არ მიიღებს მონაწილეობას საერობო თვით-მართველობაში; საერობო გადასახადიც წინანდებურად უსამართლოდ იქნება განაწილებული, ესე იგი, უმეტესი ხარჯი ღატაკ გლეხობას დააწვება კისერზე, თუ თვითონ ხალხი არ მიიღებს მონაწილეობას ერობაში... ამიტომ აუცილებლად საჭიროა ფართო ნამდვილი თვითმმართველობა იქმნას დაწესებული კავკასიაში, რაც თვითონ ხალხმა გამოსთქვა ნათლადა და გულახდილად“.

მეორე წერილს ხვალ გავაცნობთ მკითხველთ.

ახალი ამბავი

✦ როგორც „ჩ. ვ.“ გადმოგვცემს, **ნოვოროსიისკში ჯარსა და ხალხს შორის შეტაკების დროს** ხალხის მხრივ მომკვდარა და დაჭრილა 208 კაცი. შეშინებული ხალხი ტბისკენ გაქცეულა, სადაც სამი კაცი დამხრჩვალა.

✦ კავკასიის ნამესტნიკმა სთხოვა ფინანსთა მინისტრს, რაც შეიძლება მალე გახსნას **ამიერ-კავკასიაში საგლეხო-საადგილ-მამულო ბანკის განყოფილება.**

✦ ამიერ-კავკასიის **რკინის გზის მოსამსახურეებს არ მიუღიათ** ის ფული, რომელიც გაფიცვის დროში ერგებოდათ. გადაწყვეტილი იყო მიეცათ ფული მხოლოდ შტატის მოსამსახურეთათვის. მაგრამ, რადგან დღიურებმაც ითხოვეს, ეს საქმე კავკასიის ნამესტნიკს მიენდო გადაეწყვიტა. ეხლა ამბობენ, რომ ფულს მიიღებენ როგორც შტატის მოსამსახურენი, რომელთაც წელიწადში 600 მანეთზე მეტი არა აქვთ, ისე დღიური მუშები და მოხელენიო. ამ ჟამად დღიურ მოსამსახურეთა სიებს ადგენენ და შემდეგ შეიძლება ფულიც დაარიგონ, თუ ახალი რამე კიდევ არ აღმოჩნდა. ეს ფული 1904 და 1905 წლის გაფიცვის დროისაა.

✦ საგანგებო საქმეთა გამომძიებელმა რიბინსკიმ უკვე მისცა სამართალში თავადი

ფელეტონი

ნიცშეს იდეალი

(შემდეგი *)

თუ კაცობრიობას არა აქვს ერთი მიზანი, მაშინ შეგვიძლიან ვიკითხოთ: „არსებობს თვით კაცობრიობა?“ თუ ნიცშეს დავეკითხებით პირველ ნახევარში, ცხადია, უნდა გვითქვას, რომ კაცობრიობა არ არსებობს, კაცობრიობა—ფიქციაა. დარჩა თვითეული ადამიანი, როგორც რეალური არსება, რომლის ინტერესები და მიზანი უნდა მივიჩნიოთ მნიშვნელოვნად და კანონიერად. ადამიანი განცალკევებულია, არავითარი კავშირი არა აქვს სხვებთან, თავის დაგვართან.

სიყვარული მოყვასისადმი, ან კაცობრიობისადმი, ნიცშეს აზრით, ცუდი სიყვარულია: „თქვენ მირბიხართ,—ამბობს იგი—მოყვასთან თქვენის თავისაგან, და გნებავთ აქედან სათნოება შეჰქმნათ, მაგრამ მე მშვენივრად ვხედავ თქვენს უანგარობას“. სიყვარული მოყვასისადმი თან მოჰყვება ადამიანს, ნიცშეს სურათში არა გულწრფელი, უანგარო მოთხოვნილებაა სხვის [illegible] ის, რაც შენა გაქვს, არამედ მოუხეშავი, ნიღაბ-ფარებული ეგოიზმი დაბალ ხარისხისა. „თქვენ მოძმეებს იწვევთ, უმოწყალოდ ჭკვით ფარდას თანამედროვე ადამიანს მოყვასისადმი სიყვარულის [illegible] მოტივებს, და როცა შესძლებთ აფიქრებინოთ მას თქვენზე კეთილი, მაშინ თვითონ ფიქრობთ კეთილად თქვენს თავზედ“. ადამიანს უნდა უყვარდეს არა მოყვასი,—რა საქმე აქვს იმასთან,—არამედ საგნები და აზრდილები. „აზრდილი ძმაო ჩემო, რომელიც შენ თვალწინ იზრდება, ხომ შენზედ უფრო მშვენიერია, მაშ რატომ არა სწირავ მას შენს სისხლს და ხორცს?“—კითხვას იძლევა ზარატუსტრა. და ნიცშე სწყენს, რომ კაცობრიობას [illegible] ამ აზრდილებისა და მორბის მოყვასისაკენ; სწყენს იმაზედ, რომ ადამიანები გადაჰკრავენ ოქროს კოშკების აგებას, მოჰკვეთეს ფრთები [illegible] ფანტაზიის თავისუფალ აღმაფრენას, გადაჰკრავენ ოცნებამ შექმნას ბრწყინვალე იდეალებისა, რომელნიც აღვიძებენ ადამიანში ღვთის ძალას, გადაჰკვეთენ [illegible] უფრენს, რომელნიც თავიანთ აღმაფრენის ძალით ქმნიან თავისთვის ახალს ქვეყანას, სადაც თავისუფლად სუნთქავ და ბედნიერად სთვლი შენ თავს. ერთის სიტყვით, კაცობრიობა გადაჰკვია თავისივე ხელით საკუთარ ცხოვრების აგებას და დაუმორჩილა კერპებს, რომელთაც გახადეს იგი ყურმოჭრილ ყმად, უსიტყვო მონად, ჯოგად, სადაც ერთი მეორეს სთვლიან ჭკუს.

აი ერთი კერპი, საშინელი გველეშაპი, რომელსაც ხალხი მუხლმოდრეკილი თაყვანსა სცემს „შენ მოვალე ხარ“. სახელია ამ გველეშაპისა, ბრწყინავს მისი ოქროს ქერქი და ყოველ ქერქზედ ხატად სჩანს ოქროთი: „შენ მოვალე ხარ.“ ათასწლოვანი საუნჯე ბრწყინავს ამ ქერქზედ, და ასე ამბობს ყველა გველეშაპზედ უძლიერესი: „ყველა საგნის ფასი ჩემ ქერქზედ ბრწყინავს. ყველა საუნჯე უკვე შექმნილია, და ყოველი შექმნილი საუნჯე—მე ვარ“.

აი მეორე გველეშაპი. სახელმწიფო—არის სახელი მისი. „ყველაზედ უმთავრესი არა არისრა,“—ამბობს [illegible], და არა მარტო [illegible], არამედ ბეცებიც მიწაზედ ეხვევიან იმას წინაშე და გველეშაპი სჯიჯგნით ჭამს ბევრს მსხვერპლებს, სცოხნის და ყლაპავს“... ადამიანები მუხლს იდრეკენ ამ კერპების წინაშე, სწირავენ აუარებელ მსხვერპლს, მაგრამ ვერ მოუპოვებიათ ცხოვრების ბედნიერება. კერპების ძალადობა ართმევთ მონებს გულიდან სასოწარკვეთილების ძახილს ამოდის. „ცხოვრება—ტანჯვაა,“—სტირიან ისინი, ბრძენნიც იმას ეუბნებიან: „საჭიროა ცხოვრების შეწყვეტა, საჭიროა ჩვენი თავი ცხოვრებას მოვაშოროთ“. ადამიანებმა თავის ხელით დაივიწყეს სიხარული, სიხარული კი აწყვეტდა მოყვასისადმი სიყვარულს და არ გამოაცხოვრებინებდა ათასგვარ მსხვერპლს. ნიცშე მოიწოდებს ადამიანს იცხოვროს მთელის თავის გრძნობების ძალით გაიშალოს, [illegible] მთელის სიუკუნოებით თავგანწირულად კერპებს და შექმნას ამ კერპზე: „მე მსურს“, „მე“—არის საზომავი და საუნჯე ყველა საგნებისა“. ხომ არავინ იცის, რა არის ბოროტი და რა არის კეთილი. თვით ადამიანმა უნდა შექმნას ბოროტიც და კეთილიც. „დადგა დრო—ამბობს ნიცშე,—ადამიანმა თვით უნდა შექმნას მიზანი. დადგა დრო, და ადამიანმა თვითონ უნდა დათესოს მარცვალი უმაღლეს იმედისა. ამისთვის ნიადაგი ჯერ კიდევ მდიდარია, მაგრამ მალე გაღარიბდება და აღარ ექნება ძალა აღმოაცენოს არც ერთი მაღალი ხე. ვაჰ, მოდის დრო, როდესაც ადამიანს აღარ შეეძლება შექმნას არც ერთი ვარსკვლავი!

შემდეგ ნიცშე ასურათხატებს შავის ფერადებით იმ დროს, რომელსაც ესწრაფვის თანამედროვე საზოგადოება: „უყურეთ, მე თქვენ განახვებთ უკანასკნელ კაცუნას. რა არის სიყვარული? რა არის შემოქმედება? რა არის მისწრაფება? რა არის ვარსკვლავი? ასეთ კითხვებს იძლევა უკანასკნელი კაცუნა და უცნაურად თვალებს ახამხამებს.

დედა-მიწა მაშინ პატარა გახდება და მაზედ დაიწყებს ხტუნვას უკანასკნელი კაცუნა, რომელიც ყველაფერს პატარად ჰხდის. მისი ჯიში ამოუწყვეტელია, როგორც მიწის რწყილისა. უკანასკნელი კაცუნა სიცოცხლობს ყველაზედ მეტს. „ჩვენ ბედნიერება მოვიპოვეთ“,—ამბობენ უკანასკნელი კაცუნები და თვალებს ახამხამებენ.

მათ თავი მიანებეს იმ ქვეყნებს, სადაც ძნელი იყო მათთვის ცხოვრება, რადგან სითბოს საჭიროებდნენ. ადამიანი კიდევ მუშაობს, რადგან მუშაობა—სიამოვნებაა, მაგრამ სცდილობს, რომ სიამოვნებამ არ დაჰღალოს. ადამიანი სცდილობს, რომ აღარ იყვეს არც მდიდარი, არც ღარიბი, რადგან ერთიც და მეორეც სამძიმოა.

ვისა სურს კიდევ მეფობა? ვისა სურს მორჩილება? როგორც პირველი, ისე მეორე ძრიელ სამძიმოა. აღარ დარჩა მწყემსი—მარტო ფარაა. ყველას სურს თანასწორობა და ყველანი თანასწორნი არიან. ვინც სხვანაირად ფიქრობს, თავისნებით მიბრძანდება საგიჟეთში“.

„როდესაც მოვედი ჩემ უდაბნოდან,—ამბობს ზარატუსტრა,— და პირველად ხიდზედ გავიარე, საოცარი რამ ვნახე. ჩემ თვალებს არ ვუჯერებდი. ვუცქერი, ვუცქერი და ვსთქვი: ეს ყური ადამიანის ტოლაა. დავაკვირდი ყურადღებით, მართლაც ყურის ქვეშ მოძრაობდა კიდევ რაღაცა, რაც შესაბრალისად პატარა და უღონო იყო. უზარმაზარი ყური მიბმული იყო პატარა ღეროზედ, ეს ღერო კი ადამიანი იყო. სათვალეებიანი კაცი შეხიშნავდა, რომ ამ ღეროზედ ეკიდა პატარა სული ადამიანისა. ხალხი მეუბნებოდა, რომ უზარმაზარი ყური ადამიანი კი არის, არამედ გამოჩენილი გენიოსი...

„უკანასკნელი კაცუნები ჰგვანან საათს, რომელსაც ყოველ დღე შართავენ. ისინი მუშაობენ და გაიძახიან თავიანთ „ტიკ-ტაკ“-ს და სურთ, რომ ეს „ტიკ-ტაკ“-ი აწყდებოდეს სათნოებად. „ჩვენ არავის ვკბენთ“,—გაიძახიან ისინი, და შორს გარბივართ იმისგან, ვისაც

---

*) იხ. „ცნობ. ფურ.“ № 2868

ლენტო ხერხეულიძის დამჭრელთ, კოვალევის მცველი ინგუში აბას ხოშჩიხოვი. ეს ინგუში საპყრობილეში ჩასვეს, მაგრამ იოსებ გრიგოლის ძეს მელიქიშვილს თავმდებობა გაუწევია, 500 მანეთი შეუტანია და გაუნთავისუფლებია იგი.

✦ 24 ივლისს მოხდა **გორის მაზრის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება.** კრებამ დაადგინა, კავკასიის ნამესტნიკს გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს დეპუტაცია გაუგზავნოს გორის მაზრის თავად-აზნაურთა გაჭირვებულ მდგომარეობის მოსახსენებლად.

✦ 24 ივლისს გორში გორის მაზრის **თავად-აზნაურთა კრება** შეუდგა იმის განხილვას, თუ რა საქმეს მოახმაროს ის 30,000 მან., რომელიც ქართლის თავად-აზნაურობამ სესხად აიღო 5 წლის ვადით. კარგა ხანს თათბირის შემდეგ თავად-აზნაურობამ დაადგინა, ეს ფული ძირითად თანხად შეიტანოს იმ ამხანაგობაში, რომელიც „მამითადის“ სახელით დაარსდა და რომლის წესდების პროექტი უკვე გვქონდა დაბეჭდილი.

✦ დღევანდელს ჩვენს დეპეშებში დაბეჭდილია უმაღლესი ბრძანება იმის შესახებ, რომ ჩვენს მხარეში რკინი გზებზე მოსამსახურეს **სათადარიგო ჯარის კაცები გაიწვიეს სამხედრო სამსახურში.** ამის გამო ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა საერთო განკარგულება მოახდინა: ამ თვის 23 რიცხვიდან არც ერთ ამისთანა მოსამსახურე არ შეუძლიან სამსახურიდან დროებით დათხოვნაც-კი რკინის გზების უფროსისა და ჯარების გადამყვან-გადმომყვანის უფროსის ნება დაურთველად.

✦ როგორც გორიდან გვატყობინებენ ადგილობრივ **თავად-აზნაურთა მილიციას** ხელ-ახლა უსახელნია თავი. 24 ივლისს, ნაშუადღევს გორიდან სად. გრაკალისაკენ საქონლის მატარებლით მიდიოდა სოფ. საქაშეთში მცხოვრები დიმიტრი დიასამიძე, იმ დროს, როდესაც იგი ვაგონის აივანზედ მჯდარა და უცდიდა მატარებლის წასვლას, მიჰპარვია ერთი შეიარაღებული კაცი და უთქვამს, ადგილი დაეცალა. როცა დიასამიძეს დაუპირებია ვაგონიდან ჩამოსვლა, უცნობ კაცს უკანიდან მუშტი წაუკრავს და აივნიდან გადაუგდია, ისე რომ დიასამიძეს თავი დაურტყამს რელსებზედ. წამოხტომა ნდომებია, მაგრამ ამ დროს, საიდგანღაც გაჩენილა კიდევ ორი შეიარაღებული კაცი, რომელთაც, ხმალ და ხანჯალ ამოღებულთ, ცემა დაუწყიათ და რამდენჯერმე წიხლებიც ჩაურტყამთ. მერე ერთ-ერთს მოუნდომებია ხანჯლით დაჭრა, მაგრამ მეორეს დაუშლია ამ სიტყვებით: „ეგეც ეყოფა, თავი დაანებეთ“. დიასამიძეს მოურთავს ყვირილი, ხალხიც შეგროვილა და შორიდან კარგად დაუნახავთ, რომ შეიარაღებული პირები ყოფილან „კეთილშობილთა“ მილიციის წევრები ლენტო დიდებულიძე, დავით მუსხელიშვილი და ერთ-ერთი ციციშვილთაგანი. დაშავებული მოსარჩენად ქალაქისკენ წამოსულა.

✦ 24 ივლისს დილომის მახლობლად, სოფელ ვეძისში **მოუკლავთ ადგილობრივი მემამულე მიხეილ ჩიოევი.** ჩიოევი დილით 9 საათზე საბანაოდ ჩასულა დიღმის პატარა მდინარეში. ის იყო გაუხდია ტანისამოსი, რომ ბუჩქებიდან გამოვარდნილა ვიღაც კაცი, რევოლვერი უსროლია და იქვე მოუკლავს. როგორც გვატყობინებენ, ჩიოევს უსიამოვნება ჰქონია გლეხებთან. ამას წინად რამდენსამე გლეხს ტფ. მაზრის უფროსისათვის უცნობებია ჩიოევის მეოხებით ეგზეკუცია ჩაგვიყენესო, 15 გლეხი შეურაცხყოფილად გაგვლახესო და დიდად შეგვაწუხესო. მკვლელი ვერ უპოვიათ.

✦ როგორც დ. ცხიველიძე გვატყობინებს, 20 ივლისს სოფ. ხიდოში, სადამოს ჟამს, რამდენიმე შეიარაღებული კაცი **თავს დასცემია მემამულეს თავ. ზაქარია ფავლენიშვილს.** თავ. ფავლენიშვილი გაუძარცვავთ: წაუღიათ ფულად 85 მან. და ნივთეულობა ასი თუმნისა. ამასთან მოუკლავთ მისი ყარაული გლეხი.

✦ როგორც მკითხველებმა უკვე იციან, უმაღლესის ბრძანებით, **კავკასიის ნამესტნიკს დაექვემდებარა** ყველა უწყება კავკასიაში. მას შეუძლიან დაითხოვოს, მიიღოს, სხვაგან გადაიყვანოს, დააჯილდოვოს მოხელენი და სხვა, ერთის სიტყვით, ის უფლებები მიენიჭა, რომელიც მინისტრებს და იმისს ხელქვეით დაწესებულებებს აქვთ. ეხლა, როგორც „პრავ. ვესტ.“-შია გამოცხადებული, ნამესტნიკს შუამდგომლობა აღუძრავს და ხელმწიფე იმპერატორსაც შეუწყნარებია, რომ სასამართლოს დაწესებულებებში ისევ ძველი წესი დარჩეს, ე. ი. ამ უწყების საქმენი და მოხელენი კავკასიაში კვლავინდებურად იუსტიციის მინისტრსა და იმის ხელქვეით დაწესებულებებს ექვემდებარებოდნენ.

✦ 24 ივლისს კარგა ბლომა ხალხი **შეყრილიყო სასეირნოდ მუშტაიდში.** ასე ცხრა საათი იქნებოდა, ვიღაცამ ბუჩქებიდან რევოლვერი პირდაპირ მოუშვირნე ხალხში გაისროლა. ერთი ალიაქოთი ასტყდა. ქალები წივილ-კივილით გარბოდნენ, მაგრამ ხალხი გულადებმა გაამხნევეს. იმ ადგილას, სადაც რევოლვერი დასცალეს. რამდენსამე ქალს გული წაუვიდა. ორს ყმაწვილს ხელები გაჰკაწრა საფანტმა. რევოლვერის სროლის მიზეზი ვერ გაიგეს.

✦ ტფილისის პოლიცმეისტერმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, ფულით შემწეობა აღმოუჩინოს იმ პოლიციელებს, რომელნიც ამას წინად **ყუმბარისაგან დაშავდნენ.**

✦ არჩილ მათიკაშვილმა, რომელსაც ამ ორი დღის წინად ძალზედ სცემეს **პატრიოტულ პარტიის წევრებმა,** ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელს განცხადება წარუდგინა. მათიკაშვილი სწერს, ჟანდარმთა უნტერ-აფიცრის ჩერხენკოს ბრძანებით, ყაზახებმა საჯიროთო მოედანზე გამიყვანეს და იქ მცემესო. მათიკაშვილი თხოულობს, ჩერხენკო პასუხის გებაში მისცეს.

✦ **სომეხთა კათალიკოზი** 24 ივლისს უკვე ბორჯომიდან დაბრუნდა.

✦ **ნაძალადევისა და ლოტკის გორის** მცხოვრებლებზე მიწების საიჯარო გადასახადი ხელდიქებიანად იქნება 30,000 მანეთამდე. გუშინ ქალაქის თავმა მოიჯარადრენი დაიბარა და გამოჰკითხა ფულის შეუტანლობის მიზეზი. მოიჯარადრეებმა განაცხადეს, წელს გაჭირვებაში ჩავცვივდით, ბევრნი უსაქმოდ დავრჩით, ბევრს სახლები გაუქირავებელი დაგვრჩაო და სხვა, ამიტომ ფულის შეტანა ერთბაშად არ შეგვიძლიანო. გამგეობა დასთანხმდა, მოიჯარადრეებმა ნაწილ-ნაწილ შეიტანონ ფული.

✦ 21 ივლისს ნამესტნიკის თანაშემწეს სულთან-კრიმ-გირეის წარუდგა გუდაუთის ნაწილის **აფხაზთა დეპუტაცია** თავ. საადბეის შერვაშიძის მეთაურობით. დეპუტაციამ შუამდგომლობა აღძრა აფხაზთა საჭიროების შესახებ.

✦ ხვალ, 27 ივლისს, პეტერბურგიდან წამოვა **საქართველოს ეგზარხოსი.** ეგზარხოსი გზად შეივლის კისლოვოდსკში.

✦ ბაქოს ახალმა გენერალ-გუბერნატორმა ნება დართო **ხელ-ახლა გამოიცეს გაზეთი „ბაკ. იზვ.“.** როგორც ვიცით, ეს გაზეთი დახურა თავ. ამილახვარმა.

✦ როგორც გავიგეთ, **ქუთაისის ვიცე-გუბერნატორად ინიშნება** ტფილისის საგუბერნიო გამგეობის წევრი ალექსანდრე ყიფშიძე.

✦ ის ჯგუფი, რომელმაც ამას წინად ქართულ ენაზე წარმოადგინა ოპერა „სევილიელი დალაქი“, გულ-მოდგინედ ამზადებს ქართულ ენაზე რუბინშტეინის ცნობილ ოპერას „დემონს“. ამ ოპერას წარმოადგენენ შემოდგომაზე.

✦ 24 ივლისს, ღამის 11 საათზე, ნაძალადევში ფართაძის ქუჩაზე, მანგიაზაშვილის სახლში მცხოვრები მიხეილ ზიბროვი თავის 12 წლის ქალით ოგნეზოვის სამხრეხოდან, სადაც იგი მუშაობდა, შინ ბრუნდებოდა. ასე 20 ნაბიჯზე, როცა ზიბაროვი ბინას მიახლოვდებოდა, მას ვიღაც უცნობი წამოსწევია, რევოლვერი უსვრია და ზიბაროვი მოუკლავს. მკვლელი დაიმალა.

✦ 23 ივლის, პოლიციის მე-4 ნაწილში, გერმანიის ქვეშევრდომმა გუსტავ დანგემ განაცხადა, რომ როცა იგი მანგლისში იმყოფებოდა, ვიღაც ბოროტ-განმზრახველებმა მორგებულის გასაღებით სადგომიდან ფულად 150 მან. და სხვა ნივთები მომპარესო. ეჭვი მიიტანეს მსახურ ქალზე ლიდა შალდერზე.

რუსეთის ქრონიკა

გაზეთის გამოცემის შევიწროება. რუსული გაზეთის „ტამბ. გოდ.“ რედაქცია აცნობებს თავის მკითხველებს, რომ ცენზორმა ისეთ პირობებში ჩაგვაყენა, რომ ჩვენი გაზეთი მარტო განცხადებათა პატარა ფურცლად გადაიქცა, და ამიტომ იძულებული ვართ დროებით შევაჩეროთ გამოცემა, ვიდრე ეს შემავიწროებელი პირობები არ შეიცვლებაო. („კრ. ს.“).

ებრაელების წინააღმდეგ მოქმედება. ხარკოვში მეტად ვრცელდება თურმე პატარა წიგნაკები ამ სათაურით: „ძირს ებრაელები!“ ეს წიგნაკები თითო კაპეიკად იყიდება, მაგრამ გლეხებსა და სალდათებს უფასოდ ურიგებენ თურმე. ყველა სამმართველოებში, დუქნებსა და რესტორანებში „ადრესი“ დააქვთ ხელ მოსაწერად, რომ ებრაელებს არ მიეცეთ საერო წარმომადგენლობაზე დასწრების უფლებაო, სწერენ გაზ. „რ. ს.“.

ისპრავნიკის მოკვლა. ქ. ლუბანქის ბაღში 17 ივლისს რევოლვერით მოუკლავთ ისპრავნიკი სემიონოვი. მკვლელის ვინაობა და ასავალ-დასავალი ვერ გაუგიათ. („რ. ს.“).

რუსეთიდან გადასახლებულ გლეხთა რაოდენობა. სახელმწიფო საბჭოს წევრის გორემიკინის თავმჯდომარეობით შედგარ კომისიის ანგარიშით შიდა რუსეთიდან ამ უკანასკნელ 16 წლის განმავლობაში 1.207,653 სული ქალი და კაცი გადასახლებულა ციმბირში. („რ. ს.“).

პროფესორებისა და სტუდენტების რიცხვი უნივერსიტეტში. სახალხო განათლების სამინისტროს გამოანგარიშებით, ამ მიმდინარე სამოსწავლო წლის ბოლოს რუსეთის 9 უნივერსიტეტში ირიცხებოდა თურმე: ღვთის მეტყველების პროფესორები 8, საორდინარო—440, საექსტრა-ორდინარო 126, დოცენტი—9, პრივატ-დოცენტი—500, სტუდენტი იყო სულ 17,808 (ჩვიდმეტი ათას რვაას რვა), ხოლო გარეშე მსმენელი—958 (ცხრაას ორმოცდა თვრამეტი). ყველაზე მეტი სტუდენტი მოსკოვის უნივერსიტეტში ყოფილა, ყველაზე ნაკლები ტომსკში. („ს. ო.“).

აგრარულ მოძრაობის განახლება. ტირასპოლის მაზრაში 18 ივლისიდან ისევ დიდი უთანხმოება ჩამოვარდნილა მდიდარ მებატონეებსა და გლეხებს შორის, ისე რომ საჭირო გამხდარა მთავრობის ჩარევა ამ საქმეში. უფრო საშიშ ალაგებში ჯარი ჩაუყენებიათ. 31 მოთავე კაცი ამ აგრარულ მოძრაობისა ქალაქში ჩაუყვანიათ და ჯერ-ჯერობით პოლიციაში ჰყავთ თურმე, რადგან საპატიმროში ალაგი აღარ მოიპოვება. („რ. ს.“).

დამნაშავენი სამხედრო სასამართლოს ხელში. ოდესის სამხედრო სასამართლოში ამ ცოტა ხანში გაირჩევა საქმე გალპერინის, ლაპესი და ფიკოკოვისა, რომელნიც სამართალში მიუცია ჯარის უფროსს. ამათთვის უპოვნიათ ასაფეთქებელი ყუმბარები. ბრალდებულების დამცველებად მოსკოვისა, სარატოვისა, და ადგილობრივი ვექილები იქნებიან თურმე. („რ. ს.“).

გაზეთის გამოცემის შეჩერება. ვარშავის გენერალ-გუბერნატორს ერთის პოლონურ გაზეთის გამოცემა შეუჩერებია უვადოდ. („რ. ს.“).

რუსეთის მებატონეები პოლიციის სამსახურში. კურლიანდიის გუბერნიაში წელს ბევრი მებატონე შესულა თურმე პოლიციის მოხელედ. ამათთვის ლიფლიანდიის მებატონეებსაც მიუბაძავთ და თხოულობენ პოლიციაში სამსახურის ნებას. გუბერნატორს შეუწყნარებია იმათი თხოვნა და ყველანი მიუღია. („რ.“).

დაბალ პოლიციელთა მოთხოვნილებანი. ეკატერინოდარის დაბალ პოლიციელებს (გოროდოვოებს) თავიანთ ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად შემდეგი მოთხოვნილებანი წარუდგენიათ პოლიცმეისტრისათვის: 1. დაენიშნოს უმცროსს პოლიციელებს 20 მან. თხუთმეტის ნაცვლად, და უფროსებს—25 მან. თვეში 18 მაგივრად; 2. უსასყიდლო წამალი და ექიმობა საქალაქო საავადმყოფოებში, როგორც თვითონ იმათ, ისე ოჯახობასაც განუსაზღვრელად ვადისა; 3. რაიმე უბედურ შემთხვევის დროს სამსახურისა გამო, მიეცეს ოჯახობას ერთ დროული ან თვიური შემწეობა და 4. აღიზარდოს იმათი შვილები საქალაქო სასწავლებელში უსასყიდლოდ. პოლიცმეისტერს ამ თხოვნაზე თავისი მოსაზრება დაუმატებია, რომ ამ ხშირ გაფიცვა-არეულობის დროს გაძნელდა სამსახური, და შუამდგომლობა აღუძრავს, დაკმაყოფილებულ იქმნას პოლიციელთა მოთხოვნილება. („ბ. ვ.“)

ნიჟნი-ნოვგოროდში მომხდარ ამბების გამო. დეპეშამ უკვე გვაცნობა მოკლედ, რომ ქალაქის საბჭოს სხდომა ჰქონდა 9—11 ივლისს მომხდარ ინცინდენტზე. სხდომა უნდა დაწყებულიყო საღამოს 7 საათზე. გარეშე ხალხი შეიკრიბა ძალიან ბევრი, ხმოსნები გავიდნენ ქალაქის თავის კაბინეტში და იქ ჰქონდათ კერძო მოლაპარაკება. 10 საათზე დაიწყო სხდომა. საბჭოს მოახსენეს ქალაქის მცხოვრებთა 4 განცხადება 9, 10, 11 ივლისის ნოვგოროდში მომხდარ ინცინდენტის გამო. მეორე განცხადება კოლექტიურია, რამდენიმე მოქალაქესაგან. ამ განცხადებაში ავტორნი, მოუწოდებენ-რა ქალაქის მმართველობას მცხოვრებთა დასაცველად, წინადადებას აძლევენ: 1) ამოირჩიონ ხმოსანთაგან კომისია 9, 10, 11 ივლისის ინციდენტის გამოსაძიებლად; 2) დაუყოვნებლივ შეუდგნენ თავის დაცვისათვის საჭირო ზომების მიღებას და 3) ეხლავე მოუსპონ პოლიციას ქალაქის სუბსიდია.

მესამე განცხადების ავტორი ნაფიცი მსაჯული ფილატოვი ითხოვს დააარსონ ქალაქის მილიცია. მეოთხე განცხადების ავტორი ნაფ. მსაჯული ტროიცკი თხოულობს, რომ გადასინჯონ საბჭოს დადგენილება, რომლის ძალითაც ყაზახებს შემწეობა უნდა აღმოუჩინოს ქალაქმა, და უარჰყოს, როგორც ქალაქის პატივის შემლახველი დადგენილება, „რადგანაცაო, ყაზახები, როგორც სხვა ქალაქების პრაქტიკამ გვაჩვენა, მცველნი-კი არ არიან, არამედ ღვთის რისხვაო“. ამ განცხადებათა წაკითხვის შემდეგ თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო საბჭოს დადგენილების პროექტი შემუშავებული კერძო ბჭობის დროს. ამ დადგენილებაში ქალაქი სთხოვს გუბერნატორს, რომ გამოიძიოს 9, 10 და 11 ივლისის ინციდენტის მიზეზი და მცხოვრებთა დასაცველად საჭირო ზომები მიიღოს. დიდი ხნის კამათის შემდეგ საბჭომ დაადგინა: 1) სთხოვოს გუბერნატორს და პროკურორს, რომ დაუყოვნებლივ გამოიძიონ 9, 10 და 11 ივლისის ინციდენტის მიზეზი და სისხლის სამართალში მისცეს ისინი, ვინც ხალხის ცემაში მონაწილეობა მიიღო; 2) სამართალში მისცენ ყაზახები და პოლიცია, რომელთაც განგებ არ დაიფარეს ხალხი ხულიგანებისაგან. 3) ხულიგანების თავგასულობა აღაგმოს. 4) დაევალოს ქალაქის კომისიას 2 კვირის განმავლობაში შეიმუშაოს ქალაქის თვით დაცვისათვის ზომები 5) შეატყობინონ შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრებს 9—11 ივლისის ინციდენტის ამბავი და ქალაქის საშიშარ მდგომარეობის შესახებ. 6) ქალაქმა მიიღოს 9—11 ივლისს დაზარალებულთა განცხადებანი პროკურორისათვის გადასაცემად. წინადადება—გუბერნატორთან დეპუტაციის გაგზავნა უარჰყვეს. დაადგინეს, თუ ამ თხოვნამ არაფერი ნაყოფი არ გამოიღო, ითხოვონ სენატორის რევიზია, ხმოსან ასტაფიევის წინადადებით მინისტრთა კომიტეტს გაუგზავნეს ტელეგრამმა, სადაც ითხოვენ დამფუძნებელ კრების მოწვევას. გარდა ამისა საბჭომ დაადგინა დაბეჭდოს 10,000 ცალად ტრუბეცკოის სიტყვა და ხელმწიფის პასუხი ხალხში დასარიგებლად. („რ. ვ.“).

ბულიგინის პროექტის განხილვა. დეპეშებიდან უკვე ვიცით, რომ ჰოფ-მეისტერის ბულიგინის მიერ შედგენილს პროექტს სახალხო წარმომადგენლობისას ისევ იხილავენ. ახლა მას არჩევს განსაკუთრებული საბჭო, რომელსაც თვით ხელმწიფე თავმჯდომარეობს. პირველი სხდომა ამ საბჭოსა მოხდა 19 ივლისს პეტერგოფში. მიწვეულნი იყვნენ: მინისტრთა საბჭოს ყველა წევრები, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შედგენაში და ხელი მოაწერეს მას, სახელმწიფო საბჭოს დეპარტამენტების თავმჯდომარეები, მინისტრები, განსაკუთრებულ მმართველობათა გამგენი, შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი გენ.-მაიორი ტრეპოვი, აგრეთვე სახელმწიფო საბჭოს წევრნი სტიშინსკი, გოლუბევი, თავ. ობოლენსკი, ვერხოვსკი, რამდენისამე გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლნი, პროფესორი კლიუჩევსკი და სხვანი. მთავარ პრინციპების შესახებ ლაპარაკი არ ყოფილა და საბჭო პირდაპირ შეუდგა პროექტის განხილვას მუხლ-მუხლად. სულ 5—6 სხდომა ექნება საბჭოს და შემდეგ პროექტი უმაღლესად დამტკიცდება. რაც შეეხება სახალხო წარმომადგენლობის რეფორმის გამოცხადების ვადას, უცხოეთის გაზეთების სიტყვით, ეს მოხდება 11 აგვისტოს. („რ. ვედ.“).

ისტორიულ უბის წიგნიდან

(დასასრული) *

30 მაის 1791 წ. კორდელიერების კლუბმა შეადგინა კომისია, რომელსაც უნდა შეესწავლათ ნაციონალურ კრების დეკრეტები, უნდა შეედარებინა კონსტიტუციასთან და გაეგო, ეს დეკრეტები რამდენად არღვევდა დეკლარაციის პრინციპებს. კომისიას თავისი ნამუშევარი უნდა წარედგინა კლუბისათვის, ეს უკანასკნელი-კი თავის მოქმედებას და თავის დასკვნას აცნობებდა სხვა საზოგადოებებს და კლუბებს. მართალია კლუბები და საზოგადოებები აღტაცებით არ მიეგებნენ კორდელიერების კლუბის ინიციატივას. ივნისში 1791 წ. კორდელიერების ძმებმა გადასწყვიტეს, რომ არა თუ მოსამართლეთა ცენზი, არამედ მთავრობის კანონებიც-კი წარედგინა ხალხისათვის დასამტკიცებლად. 15 ივნის 1791 წ. „სახალხო კლუბების“ ფედერაციის ცენტრალურმა კომიტეტმა შემდეგი ადრესი გაავრცელა. ეს ად-

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 2870.

ებსა სურს. ყველაფერში ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომელიც თავზედ მოგვახვიეს“.

ამ რიგად გამოვარკვიეთ, რა მაგი ფერებით ასურათხატებს ნიცშე თანამედროვე ადამიანს—მას უწოდებს უკანასკნელ კაცუნად, რომელსაც ღმერთად გაუხდია პირადი კეთილ-დღეობა. მაგრამ ამასთან ნიცშეს სწამს, რომ ჯერ კიდევ არის კაცობრიობაში ხალხი ახალ ცხოვრების, ახალ-ახალ ადამიანების აღმოსაცენებლად. ამ რწმენით ნიცშე მოიწოდებს კაცობრიობას შექმნას ვარსკვლავი, ცხოვრების მიზანი. „ყოველ საგნისათვის საჭიროა უნაკლობა (СОВЕРШЕНСТВО). ადამიანი უნდა ესწრაფოდეს დაუცხრომლად დაჰფლას თავისი თავი, რადგან ეს არის უმთავრესი ღირებულება ყველა დაფასებულ საგნისა“.

როგორ უნდა მოხდეს ადამიანის დაფასება? სად არის საზომი, კრიტერიუმი? თვით ბუნებამ, ნიცშეს აზრით, მოუთითა ადამიანს საზომად: „მე“—არის მისი სახელი და მისი ამაგი: „მე მსურს“. აი, ჭეშმარიტი კრიტერიუმი. მაგრამ კიდევ არის მეორე უფრო მნიშვნელოვანი, უფრო დიდი, ეხლა ადამიანი მას ყურს არ უგდებს, მაგრამ თავი და თავი იმის არსებაში ის არის. სახელი მისი—სხეული, რომელიც არ ამბობს მხოლოდ სიტყვას „მე“, არამედ ჰქმნის იმის შინაარსს. მოისმინეთ, ძმებო, ამბობს ნიცშე, ხმა ძლიერის სხეულისა: ეს ხმა უფრო მართლმოყვარეა და წმინდა. დგას ეს ყოვლად შემძლებელი ბრძანებელი ადამიანთა აზრების და გრძნობების უკან და ბრძანებას აძლევს: „აქ გრძნობდე ტკივილს! აქ გრძნობდე სიხარულს!“

მაშ, პიროვნებისათვის შესაძლებელია გაუკეთესება, ცხოვრების სავსებობა, რომელსაც ახორციელებს ძალა—სხეული ახალი საუნჯის შექმნით,—აი იდეალი ნიცშესი. ვინ უნდა განახორციელოს ეს იდეალი? თანამედროვე ადამიანი ხომ, თვით ნიცშეს სიტყვით, დამახინჯებულია, ძალა გამოლეულია? არა, ნიცშესაც არა სჯერა, რომ თანამედროვე ადამიანი შეიძლებს ახალ საუნჯის შექმნას, მაგრამ იმისთვისაც არის დიდი საქმე: თანამედროვე ადამიანმა უნდა მოუმზადოს ხიდი შემოქმედებისათვის, რომლითაც იქნება შესაძლებელი საბოლოო მიზანი, ადამიანთა ცხოვრებისა—ზეკაცი.

„ადამიანი—თოკია, რომელიც გაბმულია ცხოველის და ზეკაცის შორის. თოკი გაბმულია უფსკრულზედ. ადამიანი იმითია დიდი, რომ იგი ხიდია და არა მიზანი. ადამიანი საყვარელია იმიტომ, რომ იგი გადასავალი დროა და მსხვერპლი“. „მე მიყვარს ის, ვინც მუშაობს და იცის რომ უშენებს ბინას ზეკაცს, უმზადებს მას ნიადაგს, ცხოველებს და მცენარეებს, თუმცა თავის მუშაობით იმზადებს სამარეს. მე მიყვარს ის, ვინც ყველას უნაწილებს სულსა და გულს, ვინც არა საჭიროებს მადლობას, ვინც მიდის წინ და უკან აღარ ბრუნდება. მე მიყვარან ყველა ისინი, რომელნიც მძიმე წვეთებს ჰგვანან: ცალ-ცალკე ჩამოდიან ადამიანის თავზედ მოქუფრულ შავ ღრუბლიდან, აცნობებენ ელვა-ქუხის მოახლოვებას და თვითონ კი ჰქრებიან, როგორც წინამორბედნი“.

ცხადია ნიცშეს აზრით, კაცობრიობამ ადამიანების გვამებიდან უნდა აუგოს მომავალ ზეკაცს ტახტი. ტახტი მაღლა იდგება. ძირს კიბეებზედ დარჩებიან პატარა კაცუნები, რომელთაც ბედმა არ არგუნა გამხდარიყვნენ ზეკაცის ტახტის ასაგებ მასალად. ზეკაცი აჩვენებს ჭეშმარიტ საუნჯეს, დაუსახავს ღირსეულ მიზანს.

რა უნდა გააკეთოს თანამედროვე ადამიანმა, რომელიც დაიჯერებს, რომ იგი ხიდია, ზეკაცამდის გადებული?

ადამიანმა მთელი თავისი ძალ-ღონე, თავისი აზრი და ნება უნდა მოახმაროს მომავალ ვარსკვლავს—ზეკაცს; იმან არ უნდა იზრუნოს ადამიანის კეთილ დღეობის დაცვასა და დიდის ხნით გაგრძელებაზედ; ის უნდა ფიქრობდეს მარტო ერთზედ: როგორ დამარცხოს თავის თავში ადამიანი, ე. ი. როგორ აღმოფხვრას პატარა სათნოება, პატარა ცხოვრების სიბრძნე, პატარა საზრუნველი, შესაბრალი კმაყოფილება და კეთილდღეობა უმრავლესობისა. აი მშვენიერი სამუშაო ადამიანისათვის, რომელმაც გაიგო კაცობრიობის ჭეშმარიტი მიზანი. გვკითხოთ ეხლა: ვინ არის ეს ზეკაცი? რა თვისებანი აქვს? როგორ ვიცნოთ?

ზეკაცი ჰგავს ბავშვს. იგი—„უმანკოებაა, დავიწყება წარსულისა. ახალი დასაწყისი, თამაში თავის თავად მომავალი თვალი, პირველი დარტყმა (ТОЛЧЕКЪ), წმიდა „ჰო“! უდაბნოში დასწვა მან თავისი გული და იხსნა ზეციურ და მიწიურ ღმერთებისაგან; ზეკაცს არა აქვს სამარცხვინო თვისება პატარა კაცუნებისა—ცხოვრება სხვისის ნებით; იმის გულში ღვივის უღრმესი სიყვარული და უღრმესი სიძულვილი, უღრმესი სიხარული და უღრმესი მწუხარება, უღრმესი წყურვილი სიცოცხლისა და უღრმესი წყურვილი სიკვდილისა. ზეკაცი თავისთავის ბატონიც არის და მონაც, მაგრამ ამასთან მარტო ის არის ბატონი იმ პატარა კაცუნებისა, რომელნიც მოწიწებით სდგანან ზეკაცის ტახტის საფეხურებზედ და ელიან ბრძანებას.

ერთია საკვირველი. რა საბუთებით მოისურვებს ადამიანები ახალ კერპის შექმნას? რითი სჯობია ახალი ძველებს, რომლის განადგურებას ურჩევს ნიცშე თანამედროვე ადამიანს? ყოველი ცოცხალი არსება, გვპასუხობს ნიცშე, მორჩილობს. ვისაც ძალა არ შესწევს უბრძანოს, იგი მონად ხდება. ეს კანონია ცოცხალ არსების ბუნებისა. ბრძანება უფრო სამძიმოა, ვიდრე მორჩილება, არა იმიტომ მხოლოდ, რომ ბრძანებელს კისერზედ აწევს ტვირთი მორჩილთა და ადვილად შეუძლიან გატყდეს, არამედ იმიტომაც, რომ ყოველი ბრძანება ითვლება სახიფათოდ უმეტეს იმისთვის, ვინც ბრძანებას აძლევს. მაშინაც კი, როდესაც თავის თავს უბრძანებს, პასუხის მგებელია ბრძანებისათვის. ის უნდა იყოს მსაჯულიც, შურის მაძიებელიც და მსხვერპლიც თავის საკუთარ ბრძანებისა. როგორა ხდება ესა? რა აიძულებს ცოცხალ არსებას მორჩილობდეს, მორჩილობდეს მაშინაც კი, როდესაც ბრძანებას აძლევს?

სადაც ვპოვე სიცოცხლე, ყველგან დავინახე წყურვილი მეუფობისა. მოსამსახურის მორჩილებაშიაც კი ვპოვე სურვილი ბატონობისა. რომ უღონო უნდა მორჩილებდეს ღონიერს, ამაში არწმუნებს თავის ნებას, მაგრამ ტკბილადა სურს გახდეს ბატონი იმისი, ვინც იმაზე უღონოა: ხომ შეუძლებელია უარჰყოს სიამოვნება მორჩილებისა. და აი ამიტომ უმცროსი უძღვნის თავის თავს უფროსს, რომ იმანაც გაიხაროს და იბატონოს; აგრეთვე უფროსი თანხმდება მორჩილებაზე და ხიფათში აგდებს თავის თავს, რადგან მეუფობის გულისათვის შეიძლება სიცოცხლით გაუსწორდეს. სადაც სიცოცხლეა—იქ მეუფობის სურვილიც არის“.

მაშ თანამედროვე ადამიანი ბუნების კანონით მიისწრაფის ზეკაცისკენ, რადგან მთელი სამყარო—ნებაა მეუფობისთვის.

ჩიტაძე.

(დასასრული იქნება)

რესი მიმართული იყო თანამედროვე მთავრობის მიმართ: „ჩვენ, ამისა ხელის მომწერნი, შეკრებილნი მთავარ კომიტეტში, სტასტო ქალაქის „ძმურ ამხანაგების“, ჩვენ, რომელნიც თვალ-ყურს ვადევნებთ, რომ არ შეილახოს საზოგადო ინტერესები, დავრწმუნდით, რომ დღეს უნდა განვაცხადოთ პროტესტი. სამშობლოს მამებო! ისინი მონები არიან, ვინც ემორჩილება იკ კანონებს, რომელთა შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღია და თავისი თანხმობა არ გაუცხადებია. თქვენ გამოაცხადეთ, რომ კანონი უნდა იყოს საერთო სურვილის გამომხატველი საფრანგეთის მცხოვრებთა, მაგრამ უმეტესი ნაწილი მოკლებულია პოლიტიკურ უფლებებს, ამ მცხოვრებთ რადაც ახირებულ სახელსაც უწოდებენ: პასიურ მოქალაქეებს. თუ არ დანიშნავთ დროს, რათა ხალხმა თავისი სანქცია მისცეს კანონებს, თუ არ მოსპობთ საზღვრებს, რომელიც შექმენით ერთს და იმავე სახელმწიფო ძმებს შორის, თუ არ მოსპობთ ცენზს, არ მიანიჭებთ ყველას პოლიტიკურ უფლებებს, თუ არ მოსპობთ თქვენ მიერ შექმნილ კანონებს, რომლებიც ეწინააღმდეგება თქვენ მიერ შემუშავებულ კაცისა და ადამიანის უფლებების დეკლარაციას—თუ ყველა ამას არ იზამთ, იცოდეთ სამშობლო განსაცდელშია. 14 ივლისს 1789 წ. პარიზში (ბასტილიის აღების დროს) ითვლებოდა 300,000 შეიარაღებული მოქალაქე. სია აქტიურ მოქალაქეთა, თქვენ მიერ გამოცხადებული, არ აღემატება 80,000 კაცს. შეადარეთ ეს რიცხვები და თვითონ გასაჯეთ“. ეს ადრესი იყო ხელმოწერილი 13 სახალხო კლუბის პრეზიდენტის მიერ. მართალია ადრესი არ იყო წაკითხული „დამფუძნებელ კრებაზედ“, მაგრამ მთელ პარიზში გააკრეს. „სახალხო კლუბები“ ხშირად მიმართავდნენ ხოლმე ასეთ საშუალებას. კლუბები არა სტოვებდნენ უყურადღებოდ იმ მოვლენებს: რომელიც ხდებოდა მათ გარშემო და ხმა მაღლა ამბობდნენ თავიანთ დემოკრატიულ და რესპუბლიკურ აზრებს. კლუბებს ძალა ჰქონდათ, მათ ყურს უგდებდა ხალხი და თვით მთავრობაც მიჰმართავდა ხოლმე და სთხოვდა დახმარებოდა იდეების გასავრცელებლად. როდესაც დემოკრატიული რესპუბლიკა დაარსდა საფრანგეთში 1792—1795 წ., „სახალხო კლუბები“ და მთავრობა ხელისელ ჩაკიდებულნი მიდიოდნენ, მაგრამ როდესაც საფრანგეთში გამარჯვებული დარჩა ბურჟუაზია და დამყარდა ბურჟუაზიული რესპუბლიკა 1795—1799 წ., და შემდეგ პლებისციტალური რესპუბლიკა 1799—1804 წ., მთავრობა სდევნიდა ამ კლუბებს, ვინაიდან კლუბებისა და მთავრობის იდეები ერთი მეორეს ეწინააღმდეგებოდნენ.

10 აგვისტოს 1792 წ. დაეცა მონარქია საფრანგეთში და დაარსდა დროებითი მთავრობა, რომელსაც უნდა შეემუშავებინა კონსტიტუცია. 15 თებერვალს 1793 წ. კონდორსემ წაიკითხა თავისი პროექტი. მომავალ კონსტიტუციის პროექტი არ იქნა მიღებული. საყურადღებო ის არის, რომ კონდორსემ, დედაკაცის პოლიტიკური უფლებების მოტრფიალემ, თავის პროექტში დედაკაცის უფლებაზედ ხმა აღარ ამოიღო.

17 აპრილს 1793 წ. კონვენტს წარუდგინეს ახალი პროექტი კონსტიტუციისა. ამ კონსტიტუციის განხილვის დროს დეპუტატმა ლანჟუინემ სთქვა: „კომისია (რომელმაც ახალი პროექტი წარმოადგინა) დედაკაცებს ართმევს პოლიტიკურ უფლებებს; ბევრი პროექტი, კონსტიტუციისა (საქმე ის არის, რომ კონვენტის დეკრეტის ძალით ყველას შეეძლო წარედგინა კონსტიტუციის პროექტი) ეწინააღმდეგება ამას. ასეთ მოქმედების წინააღმდეგ თავისი საჩივარი წარმოგვიდგინა ჩვენმა ამხანაგმა რომმა; გიიომარმა თავისი სანტერესო დისერტაციაც წარმოგვიდგინათ.“ ჩვენამდის არ შენახულა რომმის სიტყვა, მაგრამ გვაქვს გიიომარის ée partisan ed legahtè poiehtique entre le individus. აი, რას ვკითხულობთ ამ წიგნაკში: „შეიძლება დედაკაცმა ისარგებლოს ადამიანის უფლებათა დეკლარაციით? აი კითხვა, თვით ცხოვრების მიერ წამოყენებული. უფლების მხრით თუ შევხედავთ საკითხს, ვიტყვი: დიახ დედაკაცს შეუძლიან ისარგებლოს დეკლარაციის უფლებებით. შეიძლება უფრო განათლებულმა კაცმა წინააღმდეგი სთქვას. ამ შემთხვევაში იგი ჩვეულებას, ტრადიციას დაემორჩილება. მე-კი ვებრძვი ასეთ აზრებს, ვინაიდან ასეთი აზრები ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმის თანასწორობის, თავისუფლების პრინციპებს, რომელსაც მე ვემსახურები“.

მეორე ავტორი კონსტიტუციის ვილიამსი აი რას ამბობს: „მართალია, ფიზიკური აგებულობა, დანიშნულება დედა კაცს, საშუალებას არ აძლევს აასრულოს აქტიურ მოქალაქის მოვალეობანი; მართალია დედაკაცი და მამაკაცი, დაქორწინებულნი, წარმოადგენენ ერთ განუყოფელს; ეჭვს გარეშეა, რომ როდესაც ასეთი პირობები არ არის, ე. ი. როდესაც დედაკაცები გათხოვარნი არიან ან დაქვრივდნენ, უეჭველი უფლება აქვთ მიიღონ მონაწილეობა პოლიტიკურ არჩევნებში. თუ ჩვენ ამ უფლებას წავართმევთ, ისინი მაინც სხვა მხრივ ისარგებლებენ თავის უფლებებით; იმოქმედებენ ინტრიგების ძალით. პოლიტიკურ უფლებების წართმევა უსამართლობა იქნება, და ამას ბევრი უხერხულობაც მოჰყვება“.

თუმცა მართალია, საზოგადო აზრი მზად იყო დედაკაცებისათვის დაეთმო პოლიტიკური უფლებანი, მაგრამ 1793 წ. კონსტიტუციამ ეს უფლებები დედაკაცებს არ მიანიჭა. გავიდა დრო. დემოკრატიულ რესპუბლიკა დაეცა და გამეფდა ბურჟუაზიული რესპუბლიკა (1795—1799) წლ.). ბურჟუაზიულმა რესპუბლიკამ მოსპო საყოველთაო საარჩევნო უფლება, დედაკაცებიც, რასაკვირველია, სახეში არ მიიღეს; პოლიტიკური უფლება მათ არც ეხლა აღირსეს და საზოგადო აზრი მათ წინააღმდეგ იყო, მაგრამ ზემოხსენებული ლანჟუინე კონვენტის სხდომაზე 21 მესიდორს 1795 წელს წინაადუდგა იმ წევრს, რომელიც თხოულობდა პოლიტიკურ უფლებებს დედაკაცებისათვის. მან სთქვა: „რომელი პატიოსანი დედაკაცი გაჰბედავს სთქვას, რომ მისი და მისი ქმრის სურვილებში ერთობა არ იყოს. როდესაც ქმარი იცავს თავის ინტერესებს, იგი იმავე დროს იცავს იმის ინტერესებს, რომელიც მასთან შეადგენს ერთ განუყოფელ მთელს... ქალებს ეკუთვნის სხვა სახის დიდება უფრო საპატიო: იმათ აკვნიდან უნდა გამოზარდონ ისეთი მოქალაქენი, რომელნიც შემდეგ გამსჭვალულნი იქნებიან რესპუბლიკანურის იდეებით; იმათი მაგალითი—„გრაკხების დედაა“. არც ბურჟუაზიულმა რესპუბლიკამ მიანიჭა დედაკაცს პოლიტიკური უფლებები. *).

ს. ბეგლიანი.

წ ე რ ი ლ ე ბ ი

ხოფ. გურჯაანი (კახეთი). ამ სოფლის გლეხობასაც დაეტყო გამოფხიზლება. თუმცა კარგა ხანია, რაც გლეხობამ პოლიციასთან ყოველი კავშირი მოსპო 22 ამორჩეულ კაცების წყალობით, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ამ ამორჩეულმა კაცებმა პოლიცეულების ადგილი დაიჭირეს. პირველში ყველა სიხარულით მიეგება ამორჩეულებს და გაიძახოდნენ, ეხლა-კი ცოტათ მაინც ამოვისუნთქავთო, და საქმე სამართლიანად იწარმოებსო, მაგრამ იმედები გაცრუვდა. ამორჩეული კაცები საქმეს ხეირიანად ვერ არჩევენ; ერთად-ერთი საშუალება ქურდებისა და დამნაშავეს გასწორებისათვის ცემა-ტყეპა აქვთ არჩეული. ცემა-ტყეპაში პოლიციელებსაც-კი გადააჭარბეს. ულმერთოდ სცემენ დამნაშავეს. წარმოიდგინეთ, ხშირად ძალზე ნაცემი გამართლდება ხოლმე, მაგრამ რა გამოვიდა ნეკნები ჩალეწილი რჩებათ. როგორც გინდა იფიქრეთ, 22 კაცმა ყველამ სათითაოდ უნდა დაარტყას. დამნაშავეს ჯერ ხომ სცემენ, შემდეგ ჯარიმას ახდევინებენ სოფლის სასარგებლოდ არა ნაკლებ 20 მანეთისა. საქმეს არჩევენ კვირა დღეობით, გარჩევის შემდეგ შევლენ დიანოზის დუქანში და საუზმეს შეუდგებიან, კარგად გამოითვრებიან და წამოვლენ. ერთხელ თან ქეიფობდნენ და თან სცემდნენ დამნაშავეს. როგორც სჩანს, ფული სოფლის სასარგებლოდ-კი არა, ამორჩეულ კაცების მუცლის სასარგებლოდ მიდის. ამისთანა საქციელით ამორჩეულ კაცებს ნდობა დაეკარგათ, მაგრამ ვერ გაუბედნიათ ხმა აიმაღლონ—ცემით დაგვხოცავენო. გლეხები ხშირად ბოქაულს მიმართავენ ხოლმე სიმართლის აღსადგენად, მაგრამ ბოქაული დამწყრალებით ეუბნება, თქვენი ამორჩეული კაცები გყავთ და იმათ მიჰმართეთო. გლეხები ამნაირათ ორ-ცეცხლ შუა ჩავარდნენ პოლიციელის და ამორჩეულ კაცებისა. საქმე რომ არ გამწვავდეს და ცუდი შედეგი არ მოჰყვეს საჭიროა ან ამორჩეულ კაცებმა შესცვალონ თავიანთ საქციელი ან ახლები ამოირჩიონ, რომელნიც საქმეს სინდისიერათ, პატიოსნურად და სამართლიანად უნდა ემსახურნენ. ცემა-ტყეპით და უსამართლობით საქმე არ გაკეთდება, ვინც ამნაირად იქცეოდა, ისიც ნანობს დღეს და ნუთუ ჩვენი ამორჩეული კაცები ძველ გზას უნდა გაჰყვნენ. იმედი გვაქვს ამორჩეული კაცები გონივრულად მოიქცევიან და ამით ბოლოს მოუღებენ ერთი ერთმანეთში შურის-ძიებას. დრო არის მტერი აატირონ და მოკეთე გაახარონ. ამ ორიოდე დღის წინად „ცნ. ფურ.“-ში დაბეჭდილი იყო კორესპონდენცია ამ ამორჩეულ კაცების შესახებ. ამ კორესპონდენციაში ბევრი სიმართლეს მოკლებული ამბავი იყო.

გურჯაანელი.

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

20 ივლისს, ნაშუადღევის $3\frac{1}{2}$ საათზე, ჩამოვხტი მატარებლიდან ქარელის სადგურზე და შევედი უფროსთან გაზეთების გამოსართმევად. შესვლისათანავე შემომყვა თან სამი შეიარაღებული რაინდი. ესენი უოფილიყვნენ, როგორც მერე გამოირკვა: დავით კირილეს ძე, ვასილ და მიხეილ ციციშვილები. ვერ მოვასწარი დავლაპარაკებოდი სადგურის უფროსს, როგორც ერთმა მათგანმა, სახელდობრ ვასილმა, მომავლო ხელი და მიმაბრუნა თავისკენ, ხოლო მეორემ, დავით კირილეს ძემ, მომაყენა შეურაცხყოფა შემოკვრით. მოკრივეები ამის არ დასჯერდნენ და დაიწყეს მიწევ-მოწევა, რის გამოც დიდი არეულ-დარეულობა მოხდა. მე იმდენად გამასახტა ამათმა უსაფუძვლო საზიზღარმა საქციელმა, რომ ვეღარა მოვახერხე-რა; მაგრამ მალე გულშემატკივარი გამომიჩნდა სადგურის უფროსი ვასილ თუხარელი, რომელმაც დაინახა თუ არა რა სათეხეც მომდის, გამიყვანა მეორე ოთახში და იქ ჩამკეტა. რაც შეეხება მოჩხუბრებს, ისინი სადგურის უფროსის თანაშემწემ გაიყვანა კარში და აგრეთვე იმათაც კარები ჩაუკეტეს. ამით განაწყენებულმა თავადებმა იშიშვლეს ხანჯლები, დაუწყეს შუშებსა და კარებებს მტვრევა და თანაც გვემუქრებოდნენ როგორც მე, ისე უფროსის თანაშემწეს. აქედან, როდესაც კარგად აათხრეს აქაურობა, სადგურის უფროსმა თავისთან წაიყვანა. შეიხვეწეს რა პატარა, ეგ-ბატონები უკანვე მობრუნდნენ, შემოვიდნენ და დაიწყეს მოკითხულება. დავით კირილეს ძემ, სხვათა შორის, მოიკითხა საჩივრების წიგნი (ეტყობოდა „გულ-კეთილ“, თავადს ჩემს მაგიერად თითონ უნდოდა საჩივრის ჩაწერა) და გაიძახოდა—ორი სიტყვა უნდა ჩავწეროთო. მეუბნებოდა აგრეთვე როგორ თავმომწონედ იძახდა თავისებურ რუსულს ვასილი: „Я поламаль, ну! Я говору я поламаль“. მართალია, სადგურის ჟანდარმი და ყაზახთა ოფიცერი ამ დროს აქ დაესწრნენ, მაგრამ იმათაც ვერა გააწყვეს-რა გაშმაგებულ და პირზე დორბლ მორეულ თავადებთან. ამის შემდეგ გამარჯვებულები ამჟამად შინისკენ გაემართნენ და მეც დიდის შიშით და კრძალვით გამიღეს ოთახის კარი, რომელშიაც ერთ საათზე მეტი ვიყავი დამწყვდეული.

გამოვედი და საშინელი სურათი წარმოუდგა ჩემს თვალებს: არეულ-დარეული სადგური, დამტვრეული შუშები და გამტერებული ხალხი, რომელიც უფრო კითხვითი ნიშანს წარმოადგენდა. მე ხალხს ვეკითხებოდი იმ ინციდენტის მიზეზებს და ხალხი მე. მოპასუხე კი არავინ იყო. მაგრამ მალე გამოირკვა, რომ ეს ყმაწვილები ქართლის თავად-აზნაურთა მილიციის ანუ შავი რაზმის წევრები უოფილიყვნენ და ამის შემდეგ ჩხუბის მიზეზიც ყველასათვის ცხადი გახდა. როგორც რაზმის მოქმედებიდან სჩანს, იმათ განუზრახავთ, ალბად, ინტელიგენციის მოსპობა, რადგან, რაზმელების აზრით, ყოველივე „უბედურების“ მიზეზი დღეს ინტელიგენციაა და თქვენი მტერი, თუ არა ჩოხიანი შეხვდათ ვინმე. მკითხველებს ეცოდინებათ, რომ შესდგა თუ არა მილიცია, პირველად იერიში მიიტანა სოფელ ცეროვანში მომავალ ნიკოლოზ ციციშვილზე და ოსებ ბესელიძეზედ, რომელნიც „პროპაგანდისტები“ ეგონათ; ეს იერიში რაზმის პირველი მოქმედება იყო, რის გამოც ცოტა გაუბედაობა დაეტყო და საქმე გინებით გაათავეს ტუსაღებს. შემდეგ დაეცნენ ორდობეში მომავალ მეხუთე კლასის გიმნაზიელს კაპანაძეს და ძალიან გაამათრახეს. აბელ კალატოზიშვილის მეთაურობით რაზმის ერთი ნაწილი სოფელ ბრეთში შემოერტყა ერთ სახლს და ტყვიით დახვრიტა, რადგან აქაც ინტელიგენტი ეგულებოდათ. ესე მოქმედობს ჯერ-ჯერობით ჩვენი რაზმი, ის რაზმი, რომელიც თავის გასამართლებლად ვითომდა გვარწმუნებდა: „ჩვენ სხვა აზრი გვაქვს, მოდით ჩვენი პროგრამა ნახეთ და თქვენის თვალით დარწმუნდით, თუ რა ხალხი ვართო.“ დიახ! დღეის შემდეგ ცხადი იქნება თუ შავ რაზმს მართლა აზრიც შავი ჰქონია,—აზრი სტუდენტების, გიმნაზიელების და მასწავლებლების დევნისა. ან კი უკეთეს რას უნდა მოელოდეს კაცი ისეთ ხალხისაგან, რომელსაც თავის დღენი ლოთობასა და ზურნაზედ თამაშში გაუტარებია, დღეს კი, როდესაც დარწმუნდნენ უწინდელი მუქთა ხორები, რომ საშიში დღე დაუდგათ იმათ, ვისაც შრომა არ მოუხერხებათ, აღარ იციან ვის წასწვდნენ და ვისზედ ამოაყარონ ჯავრი. სწორედ სამწუხაროა, როდესაც ხედავთ მე-XX საუკუნეში ამ გვარ ბნელ ელემენტებს, რომელნიც სცდილობენ დაიცვან ძველებური წესწყობილება და მუქტითა და ხმლით შეაჩერონ ყოველივე წინსვლა ცხოვრებაში. ჯერ ეს არის „აზრი“ და მისწრაფება შავის რაზმისა, შემდეგში კი ვუსურვებ ბედმა იმითი მაინც დააჯილდოვოს ეს ჩამორჩენილი ხალხი, რომ მათმა შთამომავლობამ ზიზღით მოიგონოს თავიანთი წინაპრები და დაჰგმოს მათი საქციელი, როგორც ცხოვრებაში უვარგისი და კაცისთვის სამარცხვინო.

სტუდენტი ნესტორ კლიმიაშვილი

ღამის დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

24 ივლისი.

ნიუ-იორკი, 24 ივლისი. რწმუნებულნი ცალკე-ცალკე ორის კრეისერით წავიდნენ თავიანთის ამალებითურთ ოისტერბეიში. საუზმის შემდეგ რუზველტმა დასტოვა იახტა და ვიტტეს შესთავაზა იგი პორტ-სმუტში წასასვლელად. ვიტტე გზაში ავად გახდა, დასტოვა იახტა „მაიფლოუერ“-ი და რკინის გზით წავიდა. 24 ივლ ვიტტემ აცნობა „კოკუმინ“-ის კორესპონდენტს, რომ რუსეთი არ ითხოვს დროებით დაზავებას, თუ იაპონელების პირობები უზომო იქნებაო.

ოდესა. ტოროკოსაკენ რუსებს ჰყავთ 17 ათასი ქვეითი, 7 ათასი კაზაკი და 30 ზარბაზანი.

პეტერბურგი. „ფინლ. გაზეთ“-ი იუწყება, რომ უმაღლესის ბრძანებით კრამარენკოს მკვლელი მუშა პროკოპე პეტერბურგის სამხედრო-საოლქო სასამართლოს გადაეცა გასასამართლებლად. — როგორც გაზეთები ამბობენ, ძველ ენებში მხოლოდ იმ რეალისტებს გამოსცდიან სიმწიფის ატესტატის მიღების დროს, ვისაც მოწმობაში ორთა შუა რიცხვით არა ნაკლებ 4-სა უზისო.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

24 ივლისი

სარატოვი, 24 ივლისი. გუბერნატორმა ადგილობრივ „ვედომოსტებ“-ში დასტამბა შემდეგი ოფიციალური ცნობა ბალაშოვის სამწუხარო ამბების შესახებ: „ბალაშოვში, 21 ივლისს, სასტუმროსთან, სადაც ექიმები და კერძო პირები იყვნენ შეკრებილნი და რომლის ფანჯრებიდან მოისმოდა აკრძალული სიმღერები, შეიკრიბა 20 ათასამდე კაცისაგან შემდგარი ბრბო, რომელიც გამძვინვარებული იყო იმით, რომ საექიმო პერსონალმა თავი გაანება ერობაში სამსახურს; ბრბო თვით-გასამართლებას ემუქრებოდა ექიმებს. ბრბოს მიჰქონდა ხელმწიფის სურათი, იმღეროდა ეროვნულ ჰიმნს და აღუთქვა გუბერნატორს, ძალადობას არ ვიხმართო, მაგრამ, როცა გუბერნატორს პირადათ გამოჰყავდა სასტუმროდან ექიმები, რათა ისინი გაეგზავნა კაზაკების კანვოის ქვეშ ვოკზალზე, ბრბომ ქვები დაუშინა მათ და თითი დაუზიანა გუბერნატორს. მან ძლივ-ძლიობით დაიფარა მიმავალნი. ბრბომ გაანადგურა უთვალ კერძო ვექილის ფელდოკოვისა და გაშარ ტრაქტონის სახლები, სცემა ექიმებ ხმელევს და ნევზოროვს. გუბერნატორმა განუცხადა ბრბოს, რომ ის არ მოითმენს ასეთ ძალადობას, რომელიც უკანონობა და ველური თვითნებობა არისო. თუ კიდევ გაგამეორებიათ, სამხედრო ძალას გამოვიწვევ ძალადობის ამოსაფხვრელადო. ეს ამბები გამოიწვია შეურაცხყოფილმა, თუმცა-და ველურმა, პატრიოტულმა გრძნობამ, რასაც რამდენადმე ხელს უწყობდა საზოგადოების უმეცარი ყოფაქცევა წინა დღით ერობის კრების დარბაზში. ამას გარდა ბრბოს აღელვა ექიმების მიერ გავრცელებულმა განცხადებებმა, სადაც ტენდენციურად იყო განმარტებული გაფიცვების მიზეზები; იმოქმედა საზოგადოებაზე აგრეთვე ხალხის ყვირილმა „არ შეიძლება ჩვენ გულ-ხელ დაკრეფილი ვუყუროთ, როცა ისინი გვესვრიან“-ო; ამით ისინი გულისხმობდნენ 18 ივლისის ამბავს, როცა სარატოვის გუბერნატორის მოკვლა განიზრახეს ტურკოვთან, რაც არ შეიძლება ექიმების მოქმედებას მიეწეროს. ამ ჟამად ბალაშოვში წესიერებაა. ქალაქშიც სიმშვიდეა. გუბერნატორი სწუხს იმის გამო, რომ რამდენიმე კაზაკმა, რომელნიც ექიმებს აცილებდნენ ვოკზალზე, განრისხებულებმა უწესობითა და ერთის ხლებულთაგანის ხელების მუქარულის ქნევით, რამდენჯერმე დაჰკრეს მათრახი მათ, რასაც სერიოზული შედეგი არ მოჰყოლია.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ბ. ჯაბადარი

---

*) რა პოლიტიკურ უფლებებით სარგებლობს თანამედროვე დედაკაცი ევროპაში, იხ. წიგნი: О Пифорун.—„Европейскія избирательныя системы“, пер. ю Стеклова, Петербургъ 1905. გვ. 138, 142, 145, 147, 159, 164, 170, 208, 260, 281. 283.

განცხადებანი

ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა 1905 წლის ივლისის ოციდან ტფილისში მუდმივად იცხოვრებს ამა ბანკის დირექტორი, დამფასებელ კომისიის წევრი და მამულების გამგე.

ყოველისავე საქმის წარმოება ტფილისის გუბერნიაში სოფლის და ქალაქების დაგირავებულ, თუ დასაგირავებელ მამულების შესახებ, სახელდობრ: სესხის გაცემის თხოვნების მიღება, დოკუმენტების განხილვა და წესიერად გამოწყობა, დაფასება მამულებისა, ანგარიშის გასწორება გამგეობისაგან სესხის გადაწყვეტის შემდეგ, სავალდებულო გადასახადების მესესხეებელთაგან მიღება, ვადამდის სესხის მოსპობა, ჩვეულებრივი საჯარო ვაჭრობა იმ მამულებზედ, რომლის სავალდებულო გადასახადები არ იქმნება შემოტანილი, ბანკის მამულების მართვა-გამგეობა, ათი იჯარის გაცემის და გაყიდვის თაობაზედ მოლაპარაკება და დამტკიცება მყიდველის სახელზედ, მოწყობილი იქნება ტფილისს, ქუთაისის ბანკის დირექტორის ვ. ნ. აბულაძის სადგომზედ, ოლგას ქუჩაზე № 4/ა, ენინა დისამიძის სახლში. ტელეფონი № 445. (წ.)

ტფილისში დაარსდა სპეციალური შრომის მოყვარულთა არტელი. მიიღებს კოტოლნი, სამჭედლო და სასლესრო სამუშაოებს. საქმებს პირნათლად და კარგად აკეთებს. ადრესი: ელისაბედის ქ. ს. № 190 იაქოვლევისა. (30—13)

გავალე რესტორანი
„სამშობლო“
(ყოფილი ლუდხანა „სამადლო“).

მამა-დავითის მთაზე „ფუნიკულერი“-ს უკან, ხელ-მარცხნივ, სადაც იყიდება ნამდვილი კახური ღვინო, ცივი ლუდი, კრუშკით და კვარტით, და ყველა მაგარი სასმელი საუკეთესო ფირმებისა. იქვეა სამზარეულო, სადაც მზადდება კავკასიური „ბასტურმის მწვადები“ და ყველა გრილი საჭმელი. ფასი ყველაფერზე ისეთია, რომ მადლობელი დარჩება პატივცემული საზოგადოება.
(3—97—2) პატივცემით ეგნატე ერაძე.

ტფილისის ქალაქის
გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მე-3, 4 და 5 საპოლიციო ნაწილებში საჭიროა 25—30 ოთახიანი სადგომი ქალაქის ცენტრალურ სამკურნალოსათვის. ვისაც ჰსურს სახლის გაქირავება ამ სამკურნალოსათვის, კეთილ ინებოს და ქალაქის გამგეობას წერილობით აცნობოს თავისი პირობები 16 აგვისტომდე. (ნ. 3—1).

იყიდება სახლი ერთ სართულიანი ხუთი ოთახით 120 კვ. საჟენი, ნაძალადევი ვოლოპროვოდის ქუჩა № 165.
(3—2) ნ. მაკაცარია.

ბებია ქალი
სოფიო ილიას ასული ლოკუ-გელბორდი გადავიდა ხაზინის ქუჩ. № 7 ს. კნ. თუმანოვისა, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (თვ.—255—7)

ფეხსაცმელი
ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,
მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,
აგრეთვე მსწრაფლ-მავალები და სანდლიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში
ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО
С.ПЕТЕРБУРГЪ
გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს
ნარდად გაყიდვა
სავაჭრო სახლის
„ლეოპოლდ ნეიშელლერ“-ის
საქონლისა საწარმოებს ერევნის მოედანზე. ტელეფონი № 346. იქვეა მრავლად
ტყავეულობა
რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა. (60—6.—57)